



მკვი

შინაარსი: მეთაური. — ჯერწამი, ლექსი ა. შანშიაშვილისა. — ნ. ხიზანაშვილი, გ. ყიფშიძისა. — ხმა, ლექსი ი. გრიშაშვილისა. — დათვი, ზღაპარი ვაჟა-ფშაველასი. — * * ლექსი, შ. ამირეჯიბისა. — ქართული თეატრი, — ბი. — ერის უფლება, Baton-ისა. — ქართულ სამართლის ისტორია, ი. ჯავახიშვილისა.

4 ოქტომბერი 1909 წ.

საგულისხმიერო იუბილე.

ჩვენ ბევრი ქართველი გვინახავს ახალგაზღო-
ბაში გატაცებული რაიმე საზოგადოებრივი აზრით;
გვინახავს, რომ ასეთი ადამიანები აღვრთოვანებით
შესდგომია რაიმე საზოგადო საქმეს, მაგრამ ვერ
უძლევიან გამეფებული გულგრილობა, თანდათან
მათ ოცნებას ფრთა შეკვეცია და ბოლოს სრულია-
დაც თავი დაუნებებიათ საზოგადოებრივ ასპარეზზე
მუშაობისათვის. ვინ არ იცის, თუ რა ძნელია, რო-
ცა ადამიანი აწმყოში შევიწროებული, შეხუთული,
მომავლის მოლოდინში ნელ-ნელა, შეუჩერებლივ
ეწევა მძიმე უღელს საზოგადოებრივ სამსახურისას.
საზოგადოებრივი გულგრილობა, ხშირად დაცინვა,
აურაცხელი დაბრკოლება ჩვეულებრივი თანამგზავ-
რია ამ ეკლიან გზაზე, რომელიც მეტად ბრუნდევ და
დაუნდობელია და რომელსაც ასე გაუბრუნებ დღეს
ჩვენში. ჩვენს საზოგადოებაში თითოთ ჩამოსათვლე-
ლია ის ადამიანები, რომელთაც ამ უნუგეშო დროს
თავისი ძალ-ღონე, თავისი ნიჭი და გონება საზო-
გადო საქმისთვის შეუწირავთ. და თუ ასეთ ადამი-
ანთა რიცხვი მეტად მცირეა, ქართველ ქალთაგან
სულ ორიოდ თუ მოიპოვება, რომელთაც საზოგა-
დოებრივი უნარი გამოუჩენიათ. კაცობრიობის
ცხოვრებაში არ შეიძლება რომელიმე ძლიერი
მოძრაობა ვიპოვოთ, არ შეიძლება ისეთი საზოგა-
დოებრივი მიმდინარეობა აღმოვაჩინოთ, სადაც
ქალსაც თავისი წილი არ ედოს. პოლიტიკური და
კულტურული ცხოვრება ქალთა მოქმედების გარე-
შე არ დარჩენილა. ძალიან ხშირად ქალი ცენტრია,
რომლის გარშემო თავს იყრის რომელიმე საზოგადოე-
ბრივი ჯგუფი, აქ თვითველი პოეტის გამხმნეების, წა-
ქეზების, თავის ძალის გამღვიძებელ ატმოსფე-
რას პოულობს, ჩვენში კი ამ უკანასკნელ დროს
ქალის როლი საზოგადოებრივ საქმეებში მეტად
სუსტი და უჩინარია. ფრიად სამწუხარო და სავა-
ლალთა ესეთი მოვლენა და იმედი უნდა ვიქონიოთ,
რომ ახლო მომავალში ქართველი ქალი ხელახლა

ამაღლდება და ისეთ ადგილს დაიკავებს ჩვენ საზო-
გადოებაში, როგორც მის ისტორიულ წარსულს
შეფერის. ხოლო სანამ ასეთ გამოღვიძებას ველირ-
სებით, არ შეგვიძლია განსაკუთრებული პატივისცე-
მით და მოწიწებით არ მოვიხსენიოთ ორიოდ
ქალი, რომელნიც გამონაკლისს შეადგენენ და
საზოგადოებრივ საქმეში თავისი წვლილი შეუტა-
ნიათ. და თუ ჩვენში მოიპოვება საზოგადო მოღვაწე
ქალი პირველი მათგანი არის აუცილებლივ ანას-
ტასია წერეთლისა.

ვინც ჩვენ მწერლობასთან ცოტაოდენ ახლო
სდგას, იმან კარგად იცის, თუ რა ძნელია ჩვენში
არამც თუ პერიოდულ გამოცემის ხელმძღვანელო-
ბა, არამედ უბრალო წიგნაკის გამოცემაც. და აი
ასეთ პირობებში ოცია წლის განმავლობაში შეუწ-
ყვეტილვ ხელმძღვანელობს საყმაწვილო ჟურნალს
„ჯეჯილს“ ანასტასია წერეთლისა. როგორც გავი-
გეთ, ახლა პატივცემული მოღვაწე აპირებს ხელმძ-
ღვანელობას თავი დაანებოს და ჟურნალი სხვას
გადასცეს. ამ ოცია წლის განმავლობაში არა ერთი
ქართველი გაიზარდა ჩვენს „ჯეჯილ“-ზე, არა ერთს
ქართველს ბავშვს შეყვარებია ქართული მწიგნობ-
რობა „ჯეჯილის“ შემწეობით. არა ერთი ბავშვი
გულის ფანქარით მოელოდა „ჯეჯილის“ მიღებას.
დღეს ძნელია იმას დაფასება, თუ რა დიადი სამსა-
ხური მიუძღვის ამ ჟურნალს ჩვენს მეტად ღარიბ
საყმაწვილო ლიტერატურაში. მისი არსებობა სანატ-
რელი იყო ახალთაობისათვის, მისი სიმპატიური
რედაქცია, სინათლის წყარო, მიმზიდველი და გა-
მამხმნეებელი იყო ჩვენი მწერლობისათვის. მისი
რედაქტორი თვისი მხნეობით და დაუღალავი შრო-
მით სამაგალითო იყო ჩვენთვის. ჩვენც ვალდებული
ვართ ამ იშვიათ დღეს, იმ დღეს, როცა ადამიანი
დღესასწაულობს თავის ოცია წლის კულტურულ
მოღვაწეობას, მივიდეთ და პატივი ვსცეთ მას.
ხოლო მის მიერ შექმნილ „ჯეჯილს“ კვლავ ვუ-
სურვით: „იზარდევ, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი,
გახდი ყანაო“.



ლერწამი.

მშვენიერ წაჯვარებას იზრდებოდა ნორჩი ლერწამი,
 განთიადისას ეფრქვეოდა კამკამა ნამი.
 შველნი, ქურციკნი ჩრდილას ქვეშე განისვენებდნენ,
 შამენი, კაკაბნი მკვიდრს ბუდეს მუნ იშენებდნენ.
 ხან მთის ნიაფი დაჰბერავდა, უმღერდა ნახას,
 ხან, ვით ვნებუდი, შეეტრფოდა მჩქეფარე ტადას
 მაგრამ მოსტეხა ქარიშხალმა, თავს დასცა ზარი,
 უღვთოთ გათელილს დასტარდა ტეე, მთა და ბარი.
 ჟამი მიჰქრდა და ლერწამი იფერფლებოდა,
 უმწეოდ ქმნილსა მატლი ჰდრდნიდა, ნელა ჰქრებოდა.

დღეს ჩემს მამულს ისრით მკვეთრით დაჭრილს, დაკოდილს,
 მახინჯ შვილთაგან უარყოფილს, ადრე დაკომბილს, —
 მტერი დასცინის, ფეხით სთქვას, ცაცხლში აწვება.
 მთა წმინდა ჰგოდებს... მწუნარების ცრემლი იდვრება.
 ჭიბი ანდილნი, რომელთ ერთ დრას სისხლი დაჰდვარეთ
 და ივერიის ხანგრძობზე დრამა აღმართეთ,
 ნუთუ დიადი თქვენი ღვაწლი უკავლად გ'ჰქრეს?
 ნუ თუ მამული დაცემული კვლავ ვეღარ ადღეს?

ა. შანშიაშვილი.

ნ. ხიზანაშვილი

და

მისი სალიტერატურო მოღვაწეობა.

ორ წელიწადზედ მეტია მას უკან, რაც ძალ-მომრეობით
 შესწყვიტეს სიცოცხლე ისეთის ნიჭიერის, სიმპატიურის მწერ-
 ლისა და წარსულის მეცნიერულად მკვლევარისა, როგორც
 იყო ნ. ხიზანაშვილი.

ისეთი შავ-ბნელი დღე იყო მაშინ, ანუ უფრო სწორედ
 რომ ვსთქვათ, ისეთი ნათელ-ბნელი, მზიან-ჩრდილიანი დრო
 იყო, რომ ავი და კარგი, დიდებული და მცირე, სასიკადულო
 და საქვენაო, ერთმანეთში აირია. საგმირო საქმეს ავიც თან
 სდევდა, კარგ კაცობას ავკაცობაკ ზედ მოჰქვა. დამიან სი-
 ცოცხლემ თითქო ფასი დაჰქარგა. კაცის კვლა, განუკითხვე-
 ლი, განუხჯელი კაცის კვლა დიდ ცოდვად და მძიმე დანა-
 შაულად აღარ იყო თითქო მიჩნეული. უდიდესი და უზუნაე-
 სი ნიჭი—სიცოცხლე, ადამიანისადმი ზე-მოადლებული, აბუ-
 ჩად აიგდეს ზემოდაც და ქვემოდაც და დიდის სიადვილით,
 საარაკო გულ-ხალვათობით იწირებოდა მსხვერპლი მსხვერპლ-
 ზედ, იღვროდა სისხლი, წმინდა სისხლი ადამიანისა!...

ყოველ-მხრივ ზედ-მოსუელმა ძალადობამ თავ ხარი დას-
 ცა საზოგადოებას, შეარყია მყუდრო ცხოვრება, მოსპო მშვი-
 დობიანი გამრჯელობა, კულტურული მუშაობა. კალმის ად-
 გილი მანვილმა დაიჭირა, მწერლების ქუხილი ყუმბარების
 გრიალმა შესცვალა. ერთად-ერთი ზრუნვა-ლა იყო გარშემო
 გამეფებული—ცოცხალი გადავრჩეთ, სიცოცხლე შევინარჩუ-
 ნოთ, სისხლის ნიაფ-ღვარმა არ წავგლეკოსო, ვიღას ახსოვდა

იმ დროს მწერლობა, კვლევა წარსულისა და მისი მსახურნი,
 მისი ერთგულნი მუშაენი, თავ-დადებულნი ქურუმნი?!

და აი ერთი ამ მუშაკთაგანი, ერთი ამ ქურუმთაგანი
 ისე განჰქრა, ისე ჩავიდა შავს მიწაში, რომ თითქმის არავი-
 თარი აღელვება, არავითარი მოძრაობა არ დაჰბადა მწერლო-
 ბასა და საზოგადო ცხოვრებაში. ერთი ღონიერი, აღზნებუ-
 ლი წერილიც-კი არ უძღვნა მაშინდელმა ჩვენმა საგანგებო
 მწერლობამ თვის ერის უკეთეს წარმომადგენელს, ყოვლად
 მოამაგე და მოჭარნახულეს, რომელმაც თითქმის ოცდა ათი
 წელიწადი იღვაწა სალიტერატურო ასპარეზზედ, როგორც
 პუბლიცისტმა, ისტორიკოსმა და მეცნიერმა იურისტმა.

დროა ახლა მაინც გავასწოროთ ჩვენი შეცდომა, ახლა
 მაინც მოვიხსენოთ ის კაცი, განვიხილოთ მისი ცხოვრება და
 მოღვაწეობა და გამოვარკვიოთ, ცოტაოდნად მაინც, მისი სა-
 ლიტერატურო ფიზიონომია და აღნიშნოთ ის ღვაწლი, რომელიც
 მიუძღვის ნ. ხიზანაშვილს, როგორც ქართველს მწე-
 რალს და წარსულის მეცნიერს მკვლევარს.

ნ. ხიზანაშვილი მთაში დაიბადა, ო'ეთში. სოფელ მალ-
 ლადოკლეთს 1851 წელს. იქ მღვდლობდა მამა მისი თა-
 დეოზ, მღვდელი ძველებურის ყალიბისა, ძველის ტიპისა და
 ტიბიკონისა. სასულიერო სწავლა-აღზრა მამა თადეოზმა შიო-
 მღვიმის მონასტერში მიიღო და დიდ-ს ჰიროთა და იწროე-
 ბით განვლო მან ყოველი საფეხური, ვიდრე სამღვდლო ხა-
 რისხს შეიმოსავდა. ოსეთიდან მალე ქართლში გადმოიყვანეს,
 სოფელს ცერონისს, სადაც გაატარა ყმაწვილობა ჩვენმა მო-
 მავალმა მწერლობის მუშაკმა ნ. ხიზანაშვილმა. ცერონისი
 ავლევის მახლობლადაა, თითქმის ზედ აკრავეს ამ სოფელს,
 ხოლო იქ ცხოვრებდა შესანიშნავი ოჯახი ჩვენის ნიჭიერის,
 ბოლოს გამოჩენილის დევე-ბონის გმირის და სარდლის მი-
 ხეილ ამირჯიბისა. ამ ოჯახში ჰქონდა ხშირი მსვლელობა
 ყმაწვილობაში ნ. ხიზანაშვილს. თვითონ მიხეილ არ იყო დი-
 დათ განსწავლული საერო მეცნიერებაში, ისე როგორც მამა
 თადეოზი—სასულიეროში; მამა თადეოზივით ისიც ძველის
 ყალიბისა და ტიბიკონის კაცი იყო. ორივენი ბუნებით უხვად
 დაჯილდოებულნი, ყოვლად მხნენი და ბრგენი არ შეუ-
 შინდნენ არავითარს გაჭირებას და მხნედ შეუდგნენ ეკ-
 ლიან გზის გაკაფვას ცხოვრებაში. ერთმა სამხედრო ნიჭი გა-
 მოიჩინა მამა-პაპით თან-დაყოლილი და ჯარის-კაცად ჩარიც-
 ხულმა ბოლოს სარდლობა შეიმოსა და გმირის სახელი გაით-
 ქვა, ხოლო მეორემ ყამნ-დევითნი დაიწყო და იმოდნა სამ-
 დვთო გულ-მხურვალეობა გამოიჩინა, რომ ხარისხი მღვდლო-
 ბისა ჯერ ისევ სულ ახალგაზრდამ შეიძოსა ურუსულოდ, მხო-
 ლოდ ქართულად სამღვთო წერილის ცოდნის წყალობითა.
 ეს ორი საოცარი მაგალითი მხნეობისა, სულის ძლიერებისა,
 დაბრკოლებათა დაძლევისა და ეკლიანის გზის გაკაფვისა,
 რომელიც მუდამ თვალ-წინ ედგა პატარა ნ. ხიზანაშვილს,
 რასაკვირველია, ღრმა კვალს დაამჩნევდა მის ნორჩს სულსა
 და ბუნებას. ხოლო განვითარებული, ნიჭიერი სახლობა თ.
 მიხეილ ამირჯიბისა, რომელიც დიდი მოყვარული იყო ლი-
 ტერატურისა და სიტყვა-კაზმულ მწერლობისა და შევნიერად
 მთარგმნეო ჩვენის საუკეთესო მოგონების ნაწარმოებისა რუ-
 სულად, სოფიო ვასილ არღუთაშვილი-მხარგრძელის ასული,
 ავირგვინებდა იმ უჩინარს საქმეს ნ. ხიზანაშვილის სულის
 ზრდისა და სასურველის განვითარებისას, რომელმაც ბოლოს
 ისეთი ზორცი შეისხა და ისეთი უხვი ნაყოფი გამოიღო მის
 სალიტერატურო და სამეცნიერო მოღვაწეობის სახითა.

ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, რამ შეაყვარა ნიკოს



სახოგადოთ მწერლობა და განსაკუთრებით ნაწერები რუსთა და ქართველთა მგონებისა. მთელის კაბადონობით წაიკითხავა ხოლმე განსვენებული ზეპირად პუშკინსა, ლერკონტოვს, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, ბაჩანას.

ერთი გარემოება იყო კიდევ მის ცხოვრებაში, რომელმაც ჩაიდო აგრედვე თავისი წილი მის სულიერ აღზრდის საქმეში. ეს ის გარემოება გახლდათ, რომ მამა-პაპით, ძირით ეს იყო სოფელ ურბნისიდან. ნიკოს დიდად უყვარდა ეს შუაგულ ქართლში მდებარე სოფელი, ოდესმე ქალაქად მყოფი დღეს ყოველ პარტიესა და დიდებას მოკლებული. ურბნის, ისტორიული სოფელია, განთქმული შესანიშნავ ბაზილიკი მსგავსად აშენებულ, უგუმბათო ძველის-ძველ დიდებულ ტაძრით, სადაც კათედრა იყო ურბნელ ეპისკოპოსთა. ურბნისს და რუისს შუა, სადაც მრავალნი ეპისკოპოსნი იხსნდნენ, მოჰხდა შესანიშნავი ძველის-დება დავით აღმაშენებლის დროს. აღბად ამ მამა-პაპულ სოფლის სიყვარულით და მის საისტორიო წარსულის დიდებით მოხიბლულმა ნიკომ აირჩია თავის სამწერლო გვარად და პსევდონიმად „ურბნელი“ და ერთი თავისი შესანიშნავი ისტორიული გამოკვლევა უძღვნა იმ დიდებულს მეფეს, რომლის ბრძანებითაც მოხდა რუის-ურბნისის შესანიშნავი კრება და ძველის-წერა თვით მეფისა და მისის მამის თანადასწრებით.

გორის სასულიერო სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ ნიკო ხიზანაშვილი გადავიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში და იქ ჩინებულად დაამთავრა სწავლა 1870 წელს. ეს სწავლა არ იქმარა და მიიღო უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, საერო მეცნიერების შესწავლა უნივერსიტეტში. მაშინ უეგზამენოდ სემინარიელი უნივერსიტეტში ვერ შევიდოდა, საჭირო იყო აგრედვე ცოდნა ბერძნულისა და ლათინურისა, რომელსაც იმ დროს სემინარიაში არ ასწავლიდნენ. ძვლის ენების შესასწავლად და ეგზამენისათვის მოსამზადებლად ნ. ხიზანაშვილი მთელი წელიწადი დარჩა ტფილისში, დაიჭირა ეგზამენი და 1871 წელს ოდესის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზედ, სადაც სწავლა ჩინებულად დაათვა 1876 წელს.

(შემდეგი იქნება).

გ. უ.

ს მ ა

ჭეინესებური
(ვუძღვნი „მა—ს“)

ვარსკვლავთა ხომლნი აბამენ ფერხუოს, სიო მთის მწვერვალს დაჰქროლავს ცივად; ნამი ხის ყლორტებს უკოცნის ტუჩებს, ყვავილის ფურცლებს ესხმევა მძივად.

* *

ფოთოლი ფოთოლის ეჩურჩულება, ჩაჰკონებია ვერხვის ტოტი ტოტს; წყარო ანკარა პირს ჰბანს ყვავილებს, ეთამაშება ბუნების წალკოტს.

* *

ჩუ!... სევდის ხმები მოარხევს ჰაერს და მეც ბანს ვაძლევ გაბრუებული, — ტურფავ, ეს შენ მღერ ნაღვლიან ჰანგებს, თუ შორს ბუჩქნარში ჰკვენისის ბულბული?...
ი. გრიშაშვილი.

ლ ა თ ვ ი

(ზღაპარი).

III

გავიდა ცოტა ოდენი ხანი და დათვის სრასახლის კარებზე ჯაშუშების გუნდი გაჩნდა. ვინ გინდა რომ არა ჯაშუშობდა: მაჩვებიც კი, რომელთა ათი ნახტომი ერთი ადლი არ გამოევა; და ყველა დათვისაგან რაღაც გამოუთქმელს და დიდს წყალობას მოელოდა; ხოლო არავის არა ჰქონდა კარგად გამორკვეული ეს მოწყალება დათვისა რა ჯურისა, რა თვისებისა იქნებოდა. თუ დათვი გაიმარჯვებდა, ყველა მათგანი უსათუოდ უნდა დიდს ბედნიერებას მოჰსწრებოდა. ასე ჰქონდა ყველა ჯაშუშს აღბეჭდილი წარმოდგენა გულსა და გონებაში. ამიტომ დიდს ფაცა-ფუცში იყვნენ, მიდიოდნენ და მოდიოდნენ. ყოველი ჯაშუში იმას ცდილობდა, საუკეთესო რამ ცნობა მოეტანა ბატონისთვის.

პარველად განგაში მელამ დაჰკრა. მოიტანა დათვის წინაშე და დაადო თავი კურდღლისა. „შეთქეულობაა, ბატონო ჩვენო, შეთქეულობა თქვენს წინააღმდეგ: შეკრებილიყვნენ კურდღლები და ჩურჩულ-კურკულებდნენ—უნდა დათვი დავამხოთო—უყურებ წყეულებს!.. მე დაუქროლე, ერთს ვსტაცე ხელი, წავაგლიჯე კისერი, სხვები შეშინდნენ და გაიქცნენ. აი ეს გახლავთ თავი იმ წყეულის ბორბოტ-გამზრახველისა“. სთქვა მელამ, გადისო ულვაშზე ხელი და თანაც დოინჯი შემოიყარა.

— ყოჩაღ, — უთხრა მას დათვამა: — ტანი რა უყავი, ვსთქვით ეს თავი აქ არის?

„ტანი ბატონო?“ განაგრძო მელამ: ჯურღმულს მივაბარე.

— როგორ ჯურღმულს? — დაეკითხა დათვი.

„ისე რომ“, განაგრძო მელამ: „ავიღე და კლდიდან ღრმა ხევში გადავუძახე“. მელამ იცრუა. კურდღლის ხორცს თითონ გაიხლათ, მაგრამ ამას ხომ არ გაამეღავნებდა.

— კარგი იქნებოდა თან წამოგელო, სთქვა დათუნამ: — რომ გავგეროზგნა სხვებთან სხვების საპაგალითოდ.

„გაბრაზებულმა რომ ველარ მოვისახრე ბატონო! სთქვა მელამ.

— რაღა გაეწყობა! დააბოლოვა სიტყვა დათვამა. მხოლოდ შემდეგისათვის გაფთხილდი, თუ კიდევ



მოსწრო სადმე, რამდენსაც თავი მოჰკვეთო, მთლიანად აქ მომართვიო. —

მელამ თავის მიწაზე დაყრდნობით „ბალი-ალა“ მოახსენა. დათვმა მელა გაისტუმრა ამ სიტყვებით: —მელები, საზოგადოდ, მოხერხებულები ხართ, თქვენი იმედი დიდად მაქვს, ვიმედოვნებ რომ ჩემი ერთგულები იქნებით ბოლომდე და ჩემს ბრძანებასაც სავსებით შეასრულებთ. ხოლო ამას ნუ დაივიწყებთ, ტყეში ნადირობას დროებით ხელი უშვით და სოფლებს მიჰყავით ხელი. ტყეში ნადირი მუდამ ჩვენს ხელთ არის, სოფელში კი არა. ხომ გესმის? — „მესმის ბატონო!“ მოახსენა მელამ თავის დაქინდრვით.

— სწორედ ეგრე მოიქეცი! სთქვა დათვმა.

მელამ ძუნ-ძულით გასწია. მელიას წასვლა და მგლის მოსვლა.

— ბატონს დათვს გაუმარჯოს! დაიძახა მან შორი-ახლოდან.

— გაგიმარჯოს მგელსაც! მიუგო დათვმა: ამბავი, ხაბარი? ამ დროს დათვი ვირის კანქალასა ჰბრადა. მგელსაც მსხვილი ნერწყვები მოუვიდა პირში, მაგრამ რა გაეწყობოდა.

— „მშვიდობა, თქვენი კარგად ყოფნა და დღეგრძელობა. სთქვა მგელმა.

— მაინც? შენ უსაქმოდ არ გაირჯებოდი? განაგრძო დათვმა.

— „არც კი ამბავია. განაგრძო მგელმა: — თქვენა ბრძანდებოდეთ კარგად თორემ მაინც არც არაფერი იმითი იქნება.

— რაო! რისაგან რა უნდა იყოს? სთქვა დათვმა.

— „ეჰ, განა არ მოგეხსენება, ბატონო, ბრიყვი ქვეყანაა და თანაც სხვები აბრიყვებენ და თქვენს წინააღმდეგ ამხედრებენ. სთქვა მგელმა.

— როგორ ჩემ წინააღმდეგ? ვინ არიან ის ავაზაკები. სთქვა დათვმა თვალების ბრიალით.

„ჩემი თქმა რა საჭიროა თქვენს ხომ კარგად იცით.

— მაინც ვინ არიან? ვინ არიან ის ავაზაკები? ამბობდა დათვი განრისხებული და გამწარებული.

— „დასამალი რაა, ბატონო, განაგრძო მგელმა: სულ ციყვებისა და კვერნების ბრალია, აბრიყვებენ და აბუნტებენ ქვეყანას.

— ააახ! ვერ უყურებ მაგ მატლებს, მაგათ! მოიცადონ, მე ვაჩვენებ მაგათ სერს. სთქვა დათვმა განრისხებით და სამი მუჟა ქაფი გადმოაგდო პირიდან.

— „დღეს დღით, განაგრძო მგელმა, შეკრებილიყვენ შელები, ირმები, არჩვები, ღორები და

ვინ იცის კიდევ სხვა რამდენი... თათბირი ჰქონდათ, მე ჩუმიდ მივეპარე და ყური დაუგდე... —

მერე რას ამბობდენ? გააწყვეტინა სიტყვა დათვმა.

— „ერთ ხმად იძახოდნენ: „უსათუოდ უნდა დათვი განვდეგნოთ, დავამხოთო. მთელი ტყე, ტყისა და დედამიწის მოსავალი მაგას მოუწდაო.

— ხა ხაა! ხა ხაა! — გადიხარხარა დათვმა: — მერე ვინ მიპირებს დამხობას, ან რით, შენ ეს მითხარი? შელები? ირმები? არჩვები? ჰმ, ჰმ... დაეკითხა დათვი გაკვირვებით.

— „არა, ბატონო, ისინი არა! სთქვა კვალად მგელმა: სხვები გახლავანო.

— ვინდა სხვები? ჰკითხა დათვმა.

— „ტახები... მერე რა ჯონგა-ჯონგა ტახებია! უჰ, ღმერთო შამიწყალე!.. თითოს ოროლი მტკაველი კბილი აქვს. იმათ კბილებს რომ ვუტკვეროდი ტანში ჟრუანტელი მივლიდა; თქვენთან საბრძოლველად ისინი ამოირჩიეს ერთხმად, და ტახებმაც თანხმობა გამოუცხადეს, დაიწყეს ეშვების ღესა და ისეთი ხმაურობა გამოსცა იმათმა კბილებმა, თიოქოს ცა სქექდა... თანაც წარმოსთქვეს: „ჩვენ ამოვაშამებთ დათუნას რაც ჩვენთანა ზიარი რკო და წიფელი შესანსლაო.

— მობრძანდენ. იმათ მე გავცემ პასუხს, სთქვა დათვმა რიხანად, თუმცა გულში კი რამდენიმე ძარღვი ჩასწყდა, არ ესიამოვნა ტახების ამხედრება. სხვას ხომ არაფერს იტყვი?

— „არაფერს, ბატონო. ეგ იყო ჩემი სათქმელი, და მოგახსენეთ კიდევ, მიუგო მგელმა.

— ძალიან კარგი, განაგრძო დათვმა: — ყველას პასუხს მე გავცემ, ხოლო თქვენ, მგლები, — განაზრახე ყველანი, — უნდა ამიერიდან სოფლებში ჰნადირობდეთ. ტყეს ხელი უშვით, აქაური ცხოველი და ფრინველი არსად გაგექცევათ და რაც შეიძლოთ სოფლელები შეაწუხეთ, გაიგონე?

— „ღიახ, ბატონო!“ მიუგო მგელმა.

— გასწი და აასრულეთ ყოველივე წმინდად, უკლებლად. უბრძანა დათვმა რიხიანის ხმით.

— „ბატონი ბრძანდებითო!“ — სთქვა მგელმა და გასწია; ხოლო ვირის კანქალას თვალს ვერ აშორებდა.

არ გაიარა დიდმა ხანმა, ახლა მაჩვი მობობდა. დიდის ამბით დათვს: გაუმარჯოს ჩვენს სახელს, ჩვენს დიდებს, ბ-ნს დათვს!

— ოჰ, ბიძაშვილსაც გაუმარჯოს! დათვი მაჩვს ბიძაშვილს ეძახდა და მაჩვსაც ამით თავი მოსწონდა: — სხვა როგორ რასმე ხარ? როგორ გიკითხო,

ბიძაშვილო, მოიკითხა დათვმა მაჩვი დამცინავის კილოთი.

— უსაქმოდ არ გაირჯებოდით?

„საქმე ფრიად საყურადღებო არს, უფროსო ძმაო და ჩვენო ბატონო, ფრიად საყურადღებო სთქვა მაჩვმა ბოხის ხმით, ხოლო ნაღვლიანის კილოთი.“

— მაინც რა ამბავია? ჰკითხა კვალად დათვმა.

„ჰ, უბედურება და უყეთურება ქვეყნისა: შეთქმულობა! გუშინწინ სოფელში გახლდით: დიდი ამბებია. ხალხი იარაღს ისხამს და აპირობს თქვენზე თავს დასხმას. დიდს მზადებაში არიან ყველანი, დიდი და პატარა. სთქვა მაჩვმა ამოოხვრით.“

— მერე რას წაიღებენ? ნუ თუ აღარ ახსოვსთ ჩემის ტოტის და კბილის გემო? მობრძანდენ და გაივებთ ყველა, როგორ კუდით ქვა ვასროლინო და ჟანგიანი თოფები თავზე გადავამტრიო. სთქვა დათვმა.

„ეგ მართალია, ბატონო, მაგრამ აუტკივარი თავი კაცმა ძალათ რად უნდა აიტკივოს?! უთხრა დათვს მაჩვმა შთაგანებით „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“, ნათქვამია.“

— ძალას სიფრთხილეს არ ესაქიროება, — განაგრძო დათვმა: — სიფრთხილეს სისუსტეს ეწამლება მხოლოდ და უნდა იწამლოს კიდევაც რომ ფონს გავიდეს. ამ ტოტებს უყურებ? ჰხედავ? კარგად დაატკირდი და! დათვმა ტოტებს მალა ასწია. ამათი პატრონი და სიფრთხილეს?! სასაცილოც არის.“

„მე როგორც ტანითა ვარ პატარა და ღონით სუსტი, რა თქმა უნდა ქკუითაც სუსტი ვიქნები, — სთქვა მაჩვმა: შაიძლება ვცდები და მომიტყევე ბატონო!...“

— მიპატივებია. მხოლოდ შენ ამას გავალებ, რომ ტყეებს თავი დაანებო და როგორც ჩვეულება გაქვს სოფელელთა ხნულში და ბოსტნეულობაში განაგრძე მიწის თხრა. რაც შეიძლო მხედ იმუშავე. — დათვმა ამ დარიგებით გაისტუმრა მაჩვი, და თავად სოროში შებრძანდა, მთელი ერთი წელი სოფელში აღარ გაუქაჯანია და აღარც ვისთვის რამ დაუშავებია; სამაგიეროდ მგლები, ტურები, მელები, მაჩვები და სხვანი მუშაობდენ სოფლად თანახმად დათვის მიერ ბოძებულის პლანისა: ააოხრეს, დააწიოკეს სოფელელები, ქურდობით, ტაციობით, სხვა და სხვა ავაზაკობით. სოფელელებმა დათვის ავკაცობა დაივიწყეს; დათვს თითქმის კიდევ ემადლიერებოდნენ და ამბობდენ: „დათვს იმის მესხედი ზარალიც არ მოუტია ჩვენთვის რაც ამ

მგლებმა და მელა-ტურებმა მოგვცესო“. დათვსაც ამის მეტი არაფერი უნდოდა, ჩუმ-ჩუმად გუნებაში იციწოდა.

ტახები კი მაინც თავისას არ იშლიდნენ, ერთხელ დასკვნილს პირზე იდგნენ. დათვის მეზობლად ყოფნა არ ექაშნიკებოდათ, რადგან მთა-ბარს, ტყე-ველს ისაკუთრებდა, აუარებელი რკო და წიფელი უნდებოდა მის გაუმადლარს კუქსა, ამისგამო სხვა ცხოველებს და უფრო კი ღორებს საზრდო აკლდებოდათ.

ერთს მშვენიერს დღეს აღდა ორი ამორჩეული ტახი და მოადგა დათვს კარებზე.

„დათვო, დარბაისელო დათვო! იძახოდნენ: „სადა ხარ, ბატონო?! გამობრძანდი კარში, მოისმინე ჩვენი საჩივარი“. დათვმა თავი მოიძმინარა, ვითომ არ მესმისო. „ნუ თუ გეკადრება თავის მომკვდარუნება? განაგრძობდენ ღორები ყვირილს: „თავის მოკატუნება ვეღარ გიხსნის, ბიძავ... დროა ანგარიშები გავასწოროთ, ბევრი საუბარი, ბევრი თავის ტკივილია. გიჯობს ნებით გამოხვიდე, თორემ ძალით გამოგაბძანებთ. ჩათრევეს ჩაყოლა გირჩევნია“. დათვი მაინც ხმას არ იღებდა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ჰგრძნობდა ტახების მოსვლა კარგს არაფერს მოასწავებდა.“

ოროლი ტახი, — აშკარად დათვის დამარცხების ნიშანი იყო. ცალითვალით გაჰიხედა, და რა დაინახა მათი მოელვარე ეშვები, თავისთვინ წარმოსთქვა: გაკინმესთ ეშვები, დაგცვივდეთ აჰადე! ვსთხოვ მეუფეს რომ დაგცვივდესთ კბილები! ააახ! მექნება თქვენისთანა ეშვები, გაგიხაროანთ, მე თქვენ კუდით ქვას გასროლიებდით, მაგრამ რა ვქნა რომ კბილებისა ზე ტოტების მეტი არაფერი მახადია. სთქვა რა ეს დათვმა, თვალები დახუჭა რომ ტახების მოელვარე ეშვები არ დაენახა, უფროც გაიტურნა, სული განაბა, ფიქრობდა: იქნება დამშორდენ თავიდან, სთქვან შინ არა ყოფილაო და წავიდნენ. მაგრამ ტახები სოროს კარებს ჰსუნავდნენ და კარგად ჰგრძნობდენ რომ დათვი სოროში ბრძანდებოდა.

„ვიციოთ“, განაგრძეს ტახებმა: „ვიციოთ, ძალიან კარგად ვიციოთ რომ შინა ხარ. სად დაგვემალები?! თუ არ გამობრძანდები, ჩვენ გიახლებით და გამოგაბრძანებთ. ამ დროს ღორების ეშვების კაწა-კუწი ისე ისმოდა, თითქოს რამდენიმე ფოლადის ხმაღს ერთმანერთზე სცემენო. პირიდან ქაფს ისროდნენ, ბრაზობდენ, ჯაგარი აუშვეს. მოთმინება გაუწყდათ და დაუწყეს თხრა სოროს. საღამო ხანმა მოატანა, როცა მოშავფრო, დიდრონმა ტახმა უკვე დათვის ბეწვი აღმოაჩინა მიწის ქვეშ და დაუყვირა თავის ამხანაგს: „თეთრონო! აქა ბძანდება, აქ არის ვაჟ-



ბატონი. როგორ მაგრა დასძინებია ამ სულ-კურთხეულის გაზდილს და! ისიც როდის?. როცა ამისთანა ძვირფასი, ოქროს სტუმრები ვეწვიენით. აბა მოთხარე ცოტაც კიდევ და მისი აღმატებულება ჩვენ-ხელთ იქნება!“ სთქვა რა ეს, ამოჰკრა მაგრა მიწას დინგი ისე, რომ დათვსაც კი მოახვედრა გვერდებში. დათვმა იღმუთუნა, იუკადრისა. აუღგომლობა, ხელის შეუბრუნებლობა შეუძლებელი გახდა. ამოდვა დათვი და შედგა კალხზე.

— ჰაი, თქვე უნამუსოებო, თქვენა! წარმოსთქვა დათვმა: — უჯეროა, ოროლი მესხმით თავსა? თითო მობძანდიო, თითო თუ ბიჭ ბი ხართ. განა ვერც არი? არა გრცხვენიათ? ვაჟაკობაზე თავსა სდებთ და სულ უბრალო წესი ბრძოლისაც არ იცით, თქვე მოუნათლავებო, ურჯულოებო თქვენა!

„თეთრონი“, დაუყვარა მოშვერო ტახმა: „შენ შორს დადგე, სეირს უყურე მხოლოდ. ვნახოთ მართლა ღირსია ბატონად იყოს, თუ არა“. თეთრონი ტახი გვერდზე გადაა, შავფერა ტახმა მოიღრიცა ოღნავ გვერდზე კისერი და მიესია დათვის; დათვი ჯერ ისევ კალხზე იდგა, იცოდა რომ ღორი პირველი დაუტევდა და ფიქრობდა ქეჩოს ვტაცებო, მაგრამ მოტყუვდა. ტახმა კბილი მუცელში ამოჰკრა, ჭრილობა დათვის ემწვადა, დაიბლავლა. რამდენჯერაც ტახი კბილს გაჰკრავდა, დათვი თვითელს ჭრილობას ბლავილით ამოწმებდა. მეორე ტახს, თეთრონს, სილჩრე დათვისა ძალიან გაუკვირდა: „ეგ უბედური რა ლჩარი რამ ყოფილა და ქვეყანას კი როგორ აშინებდაო“, ამბობდა თეთრონი ტახი.

დათვმა უკან-უკან იწყო დახევა, თან შავფერა ტახს ტოტებს უქნევდა, ცდილობდა პირი ჩაეგლო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ტანიდან სისხლმა დაუწყო დენა, დათვი წყლულებმა შეაწუხეს და მოიწადინა გაქცევა, მაგრამ ამ დროს თეთრონი ტახი წინ გადაეღობა.

— სად გაჰრბინარ? დადექ თუ ბიჭი ხარ? ვეღარ მოითმინა, იმსაც ბრძოლის, — ომის ჟინმა მოუარა და გაუსო დათვის ყელში კბილი ისე მარჯვედ, თითქო სასულეში ძროხას ყასაბმა დანა დასცაო; დათვს წარმოსქდა თქრიალით სისხლო, საზარლად დაიდრიალა, დაიჩოქა და უკვე განემზადა სასიკვდილოდ.

„ეყოფა, არა? ყოჩაღ, მარჯვედ დაჰავდი ბიქო! უთხრა შავფერამ თეთრონს ტახს: „მეტი აღარ უნდა, შავისი საქმე მორჩაო“.

— დამითმია, აღარა ვცემ! წარმოსთქვა თეთრონმა ტახმა და გაჰშორდა. დათვი ამ დროს აღარა ღრიალებდა, არამედ ყელში ხრიალებდა. ტანმა

რყევა უწყო, ფამფალებდა და... დაგორდა; უხარმახარი ტანით ჰგვიდა რაც ფერდობზე ხე, ფოთოლი და ქვა შეჰხვდა. მელა წამოსულიყო დათვთან რალაც ამბის მოსატანად. რა ნახა ტახების და დათვის ომი იქვე შორი-ახლოს დაიმალა, ხოლო თვალყურს ადევნებდა ბრძოლას: დათვის სიკვდილი კიდევაც ესიამოვნა გუნებაში, ტახების თვალი რომ იცდინა, ჩუმად მივიდა დათვთან და მთელი ჩალაღჯი მოაღრღნა, თუმცა ცხოველების წინაშე სწყყელიდა ტახებს, ჰგმობდა, კისრად ზრახვას ადებდა: „ბატონი დათვი ღალატით მოჰკლეს იმ უღმერთოებმაო“, ამბობდა. ყველა მტაცებელი ცხოველები აღელვდნენ: როგორ გახედეს ღორებმა ჩვენის ბატონის მოკვლაო, გაიძახოდნენ. სწყინდათ დათვის უდროვოდ სიკვდილი, რადგან იმისგან დიდსა და მდიდარს წყალობას მოელოდნენ. ხოლო წმინდა, ალალის ლუკმის მქამელი ცხოველები, სახარულით ცას დაეწინენ. კურდღლები, რომელნიც გუშინ დათვთან მისალოცად გარბოდნენ, დღეს ცმუტავდნენ, ხტოდნენ, სიხარულით აღარ იცოდნენ რა უნდა ექმნათ.

ჩვეულებისამებრ ყოველ დღე დათვს ამორჩეული ჯაშუშები ატყობინებდნენ ვინც რა ამბავსაც გაიგონებდა. მელა ხომ მოვიდა. გამოძლა ბატონის ხარციო და წაბრძანდა, ხოლო ცხოველებს შეატყობინა დათვის სიკვდილი; მელას მოჰყვა ტურა, ნახა ნაომარი ადგილი, — სისხლი, მიეყუდა მკვდარს დათვის, ახლოს მისვლას ვერ ჰბედავდა, მაგრამ რაკი დარწმუნდა რომ მკვდარი იყო და თანაც ლეშიც რალაცას ექამა, ტურამაც არ იუკადრისა პირი გაეყვებინა... კარგად რომ გამოძლა დათვის ლეშით, გაიპარა და ტყეში ჩხავილს მოჰყვა გლოვისა და ტირილის ხმაზე. როგორც მელამ და ტურამ დაიტირეს დათვი, იმავე წესით მგელმა, აფთარმა და სხვებმა. ასე რომ მეორე დღეს, როცა მთელი ცხოველების კრება მივიდა დათვის დასატირებლად, თავიანთ ბატონისა ნახევარი ლეში-და დაუხვდათ, ისიც ნაჯიჯგნი, ნაჰამ-ნუჰამი, რამაც მხეცები უფრო გააბრაზა და აადლევა... მართლა სწყრებოდნენ თუ არა ეს ღმერთმა უწყას, ხოლო ერთი მეორეს ისე აჩვენებდნენ, ვითომ ძალიან გეწყინსო, უფრო დიდსა და ბევრს ოხრავდნენ. ცხელს ცრემლს ისანი ღვრიდნენ, რომელთაც მკვდარი დათვი არ დაინდეს და იმის ლეშს გიახლნენ. დათვის სხეულის გაჯუღურებაც ღორებს დააბრალებს; გვამი დათვისა დიდის ამბით და დიდებით მიწას მიაბარეს. ძეგლად დაადგეს კოშკი ძვლებისა, რომელიც მოკრიბეს ტღე ღრეებში მხეცთაგან გამოხრული. ერთ ხმად გადასწყვიტეს დათვის მოლალატე მხეცები სასტიკად



დაესაჯათ. საშიშარი, ეშვიანი ღორების გზებზე ორმოები მოთხარეს, რათა ბნელს ღამეში ჩაცვივ-
ნულიყვნენ შიგ და დამრჩვლიყვნენ.


ერთს ღღეს მარელს ტყეს მტაცებელმა მხეცებ-
მა ალყა შემოარტყეს, დაპკრეს საყვირს, ასტეხეს
განგაში და მთელს ცხოველებს ერთად მოუყარეს
თავი-თავს; კურდღლებიც კი მუდამ მოხერხებულნი
ჯაგებში შესაძრომად და დასამალავად, ვეღარსად
დაემალნენ. ყველას კბილებს უღრქენდენ, ჰგლეჯ-
დენ, სწეწდენ და ისე ერეკებოდნენ ერთად, გასა-
სამართლებლად. მოაგროვეს ირმები, შვლები, არ-
ჩვები, ჯიხვები, კურდღლები, ნეზვი ღორები და სხვა
(ტახები არ ერივნენ, ისინი ხაროებში ჩაცყარათ).

უხარ-მაზარი ნადირი ჯოგი მოაქუჩეს ერთად,
დააჩოქეს ყველა და აბღავლეს: „გაუმარჯოს ღიღე-
ბულს, ჩვენს ბატონ-პატრონს დათვს, რომელმაც
დასდვა თავი სამშობლოსათვის მხეცთა გვარისა
სადიდებლად... ცხონება დათვსა, ხოლო მის ერთ-
გულთ და პატივსმცემელთ ღღეგრძელობა და
გამარჯვება!“

— უცოდინარნი ნადირნი ძალა-უნებურად
ყვიროდნენ, ღრიალებდნენ, ჩხაოდნენ, თავის ჰანგზე,
თავის ხმაზე, ხოლო შეერთებული მათი ხმა, ჯო-
ჯოხეთის ცეცხლში ტანჯულთა გოდებას მოაგო-
ნებდა ადამიანს.

მგლები, აფთრები, მელა ტურები ამით არ
დაკმაყოფილდნენ: დაინახეს რა უკბილო ნადირთა
მორჩილება, მოწიწება და შიში, მტაცებელნი უფ-
რო გამხნევდნენ, აეშალათ საღერღელი, ეს როდი
აკმარეს უპატრონო ცხოველებს. დასცეს კიჟინა:
„გაუმარჯოს დათვსაო!“ დაეჩივნენ და დაუწყეს
ჟღერა. ნადირნი, ზოგნი იხოცებოდნენ, სხვანი
თავ-გადაგლეჯილნი გარბოდნენ. მტაცებელნი ნადირ-
ნი ღღესასწაულობდნენ. დაჩაგრულნი, უმწეონი,
ბეჩავნი წიოდნენ, კიოდნენ, იმათ გოდებას მთა და
ბარი ზეცას აპკონდა... მთაც მღუმარებდა, ტყეც
მდინარეთაც სახე როდი ეცვალათ, ისევე ძველებ-
რივ მოჩუხჩუხებდნენ. გოდება ისმოდა ყოველ
მხრით, ხოლო შებრალება არსაიდან.

ვაჟა-ფშაველ.



*
**

იცი შენ მხარე, სად ცა მუდამ არის ლაყვარდი,
სად მზისა სხივნი დასავალზედ დაიხრებიან?
იქ მუდამ ჰყვავის გაზაფხული, იქ ყვავის ვარდი
და მის ხილვანი თვალებს მუდამ ენატრებიან!

ახ, ჩემი არის ის ქვეყანა მშვენების კუთხე!
მაგრამ იმ მხარეს მწუხარენიც იბადებიან,
იქაც იციან, რომ არსებობს საღლაც სამოთხე
და სიყვარულზედ კაცნი იქაც ხშირად სცდებიან!

შ. ამირეჯიბი.



ქართული თეატრი.

25 სექტემბრის წარმოდგენას, „სამშობლოს“ დ.
ერისთავისას, რომელითაც დაიწყო სეზონი ქართულის
თეატრისა, მრავალი საზოგადოება დაესწრო. პიესა,
რასაკვირველია, ახალს ვერას გვეტოდა. ამ პიესისგან
გამწეველი ემოციები მრავალ გზივ გვაქს გამოცდილი.
უსათუთ ბ. რეჟისორის დამსახურებას, რომ პიესა ჩინე-
ბულათ იყო მოწყობილი, სურათი თბილისის მოედანზედ,
რომელიც ამ დღეს სრულებით იყო წარმოდგენილი, ზოგ-
მა პირველათ ნახა. მაგ. ქალების ტირილს სშირად
სტოვებდნენ წინეთ. აგრეთვე მშვიდობა იყო სცენა მეტე-
ხის ციხეში—მეტადრე სცენა გოგია დიაკონის სიკვდი-
ლისა

მაგრამ ამ წარმოდგენას სხვა ინტერესიც ჰქონდა.
ქ-ნი კოლხიდელი ამ დღეს პირველად ეჩვენა ტფილი-
სის საზოგადოებას და ბატონმა მარაშიძემ სულ მოუ-
ლოდნელად ითამაშა ხიმშიაშვილის როლი.

ჩვენი მოვალეობაა თავი შევიკავოთ და მანამდის არა
ვსთქვათ რა ქ-ნ კოლხიდელზე, ვიდრე დებუტანტი თავის
ამბლუას არ გამოძინის ჩვენს რეპერტუარში. თამამად
შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქეთევანის როლი არ შეუფუ-
რება მას. რეჟისორის მოვალეობაა დებუტანტი ისეთ
როლში წარმოუდგინოს საზოგადოებას, სდაც ახალგაზდა
ძაღას თავისუფლად შეუძლიან გამოაჩინონ თუნდ ერთი
მხარე მაინც ნიჭისა და შეძლებისა. ქეთევანის როლი ამ
მხრივ უოვლად უმაღურია. არტისტ ქაღს თუმცა ადგე-
ლება ეტუებოდა, მაგრამ ის, რასაც „დარცხვენას“
ეძახიან, ერთხელაც არ გვიგონებია. ჩვენ ისიც გვითხ-
რეს, ვითომც ქართული კილო წმინდა არა აქვსო, მაგრამ
არც ეს შეგვიმხნევია. დიქტია მისი მკაფიო და გამო-
მეტყველი. იმ ადგილებში, სდაც დიალოგები მეტის-
მეტ მოკლე წინადადებათაგან შესდგება, ქ-ნ კოლხიდელის



რეზლიკა ჰირდაპირ შეუდარებელი იყო. მაგრამ საზოგადოთ, მისგან დასატუელი ქეთევანი უფრო მოწუწუნე და ნერვუბი აშლილი ქალი იყო, ვიდრე წინ დახედავი და გრძნობის მონა ქეთევანი. მეორე მოქმედებაში, სიყვარულის სტენა, კოლხიდელებს და შარაშიძემაც ისე ჩაატარეს, როგორც ნევრასტენით შეურბობილ შეყვარებულებმა.

ხიშიაშვილს შარაშიძე თ მამობდა. უბირველესად ის უნდა შეგნიშნათ პატარავტუმულ დებიუტანტს, რომ რაც უნდა ლამაზი თმა ჰქონდეს მსახიობს, არასოდეს არ ურჩევთ საკუთარს თმით სტენასკედ გამოსვლას. ისე არაფერი არ ახელეს შობაქვდილებას, როგორც უკრიმოდ სტენასკედ გამოსვლა. მეტადრე იქ, სადაც „გაფუფქულსაც“ კი გიცნობენ.

როდესაც ბ. შარაშიძემ „დალატში“ სულეიმანი ითამაშა, ჩვენ უკვლას მოგვეწონა. მაგრამ როდესაც შარაშიძემ ხიშიაშვილი ითამაშა, ამან უკვლას გაგვაცაცა. არაფერს ვიტყვით პირველ ხუთ სტენასკედ, რადგან, ვფიქრობთ, არც ქ. კოლხიდელი და არც ბ. შარაშიძე თავის რეპერტუარებში არ დასტავებენ ამ როდებს და უსათუოდ გამორიცხვენ, მაგრამ რომ კოლხიდელებს და შარაშიძემაც ხელაფუნურად მოსწევიტეს უკანასკნელი მოქმედება მთელ ზეისას და სხვა რამ ახალი გვ ჩვეჩეს, ეს ცხადია. ჩვენ ბუერჯულ გვინახავს ეს ზეისა, მაგრამ ხიშიაშვილს ისე ლამაზად არასოდეს არ უგია შური, როგორც შარაშიძე-ხიშიაშვილს. ეს იყო შურისძიება მკურისა და მსახიობიც იქნებ იმიტომ მოგვევლინა თავის შავ თმებში... ახსამბლი სამკალოთა იყო.

— ბ. ი.

კვლავ ვიხილეთ სტენასკე ჩვენი ორი ახალი დებიუტანტი — ქ. ნი და ბ. ნი შ. შარაშიძე. 1 ოქტომბერს ისინი იღებდნენ მონაწილეობას „მედას“ წარმოდგენაში. ჩვენი შობაქვდილება ისეთივე დარჩა, როგორც იმიდეთ მათი თამაშისგან „დალატში“. ა ჩირკაძე, შეიძლება მხოლოდ ნ. ჩხეიძის ქალის გარდა, საუკეთესო მსახიობი ქალია საქართველოში, მაგრამ ნ. ჩხეიძე კი ხანია თამაშობს და ა. ჩირკაძე კი მხოლოდ რამდენიმეჯერ გამოვიდა სტენასკედ. ცოტა ხნის ვარჯიშობის შემდეგ იგი საუცხოო მსახიობი დადგება, რადგანაც ეტყობა, რომ დვთიური ცეცხლი უღვივის გულში. მხოლოდ ერთობ მარტივი ჟესტები აქვს, ამსთანავე ძლიერ დაუმჯდარი და ხან და ხან უხეში ხმაც. ეს ნაკლები, რასაკვირველია გაუსწორდება.

ბუერს არ მოეწონა შ. შარაშიძე. მაგრამ ჩემის ფიქრით მას ვერ მოვსთხრეთ იმდენს, რამდენიც დამსახურებულ არტისტებს მოეთხრებათ. და რამდენია ჩვენში დიდი ხნის სტენასკე მოთამაშეც, რომ არაფრად არა დიკს. შარაშიძეს ნიჭი არ აკლია, მხოლოდ გამოცდი-

ლება უნდა და ეს გამოუცდელი ბუერს უნიჭობად ეჩვენება. როგორ შეიძლება, მაგალითად, „იზონის“ თამაშით განხილვის კაცმა მისი დიკსება? — დაიწყო ბ. შარაშიძემ კარგად, მაგრამ უცრად რაღაც შეეშალა, ენა წაუბორიკდა, პარტერში ხალხი შეიშეშუნა (ვის არ გამოუცდა ეს უსიამოვნო გრძნობა, როცა არტისტის მაგიერ ოფიცს გასხვავს), მსახიობმა ეს დაინახა და იგრძნო, წაუხდა გული და შემდეგ მოქმედებებში სუსტი იყო! ეს უკვლავის ასე ემართებათ გამოუცდელს, შეიძლება უნიჭიერესსაც დაეშართოს, და აქედან არტისტის უარგისობის დასკვნა დიდი შეცდომაა.

კიდევ ვინახეთ ბ. შარაშიძეს სხვა როდებში და დაკრწმუნებით, რომ ბუერის აზრი მის შესახებ არაფერზედ არ არის დაფუძნებული.

B.

ერის უფლება.

IV.

საერთა-შორისო სამართალმა უბირველეს ყოვლისათვის ნამდვილ საგანს, — სახელმწიფოს მიაქცია უურადლება და არა ერს, რომელიც პრინციპიალურად არცა უფოილა მისი საგანი, ვერ არ არის და მხოლოდ შემდეგ უნდა მოველოდეთ საერთაშორისო სამართლის მიერ მისს ნამდვილ და ბუნებრივ საგნად აღიარებას. მაგრამ საერთაშორისო სამართლის იღვამ მაინც დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარებით. წავიდა ის დრო, როდესაც ეს თანასწორობა წარმოუდგენელი იყო. ეხლა, თუ ნამდვილად არა, პრინციპიალურად მაინც აღიარებულია ეს თანასწორობა საზოგადოებათა საზოგადოების უკვლას წევრის, საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მიერ. მაგრამ წინადა და ეხლაც ბუერს ურთი-ერთისაგან ვერ გაურჩევიათ სახელმწიფო და ერი და სახელმწიფოთა თანასწორობის მაგვირად ერთა თანასწორობასკედ ლაზარაკობენ მეცნიერები. ეს დიდი შეცდომაა, როგორც არა ერთხელ ვსთქვით. ამ არე-დარევის ხელი შეუწყო ვერ ერთი იმ გარემოებამ, რომ თეორიულად არ იყო კარგად გარჩეული ცნება ერისა სახელმწიფოს ცნებისაგან, მეორე იმან, რომ განთავისუფლებული ერები ჯერ სახელმწიფოს ფორმას დებულად და მხოლოდ მერე იღებდა ხოლმე მათ საერთაშორისო სამართალი თავის სიერაში. საერთაშორისო სამართალი მხოლოდ სახელმწიფოს სტნობდა იურიდიულ პიროვნებად, და არა ერს, და რადგანაც ყოველ სახელმწიფოში რომელიმე ერთ გაბატონებულ ერს ეძლევა უბირატესობა და მთელს სახელმწიფოსაც მისი სახელი

ჭკვია, ამიტომაც, მაგალითად, რუსეთის ან ინგლისის ერის უფლებებზედა ღაშარაკობის ხშირად საერთაშორისო სამართალი, და არა ინგლისისა და რუსეთის სახელმწიფოებზედა, თუმცა გულისხმობს ყოველთვის რუსეთისა, ან ინგლისის სახელმწიფოს. თითქმის რუსეთის ან ინგლისის სახელმწიფო ერთი ერისაგან შესდგებოდეს, და არა მრავალ ერისაგან, რომელთა უფლება შემდეგ უნდა დიდგვანს საერთაშორისო სამართალმა სწორედ რუსეთისა და ინგლისის სახელმწიფოთაგან.

ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ ლიტერატურაში ასეთი აღრევა სახელმწიფოსა და ერის ცნებისა არ გამოჰყარვიათ და პირდაპირ იყო დაყენებული საკითხი, — რა უნდა განეხილა საერთაშორისო სამართალს თავის საგნად, — ერი თუ სახელმწიფო. მაშინ, რასაკვირველია, იმ შევნიშვნებმა, რომელნიც მომქმედ სამართლის ნიადაგზედა იდგნენ, სახელმწიფო აღიარეს საერთაშორისო სამართლის საგნად, და პირდაპირ სთქვეს, — ერი უსახელმწიფოდ ვერც კი წარმოგვიდგინია, — იმ შევნიშვნებმა კი, რომელნიც იდგნენ წმინდა სამართლიანობისა და თანასწორობის ნიადაგზედა, ერი აღიარეს საერთაშორისო სამართლის საგნად; საერთაშორისო სამართალი მათთვის არა მარტო არსებულ საზოგადოებათა საზოგადოების (სახელმწიფოთა საზოგადოების) მომწესრიგებელი უნდა ყოფილიყო, არამედ გაფართოვებულ იდეალთა მქონე უზენაეს სამართალი, რომელსაც პრინციპიალურად უნდა აღიარებინა ერთა თავისუფლება და თანასწორობა, რადგანაც ერის იდეა იყო ელემენტარული და ბუნებრივი, სახელმწიფოს იდეა კი — იდეა წარმომდგარი ამ ელემენტარულ იდეისაგან. ეს უკვე ნამდვილი ნაბიჯია ერის უფლების აღიარებისაკენ, და ამხელდ შემდეგ.

ესლა კი ვხახოთ, როგორ მოიხზო შევნიშვნათა იდეაში მანინც დესპოტიზმი დიდ სახელმწიფოთა და იურიდიული მხრით მანინც იქმნა აღიარებული ყველა სახელმწიფოს თანასწორობა; ეს მით უფრო საინტერესოა, რომ შევნიშვნათა საუკუნის განმავლობაში განთავისუფლებულ ერთა შორის ბევრი ისეთი იყო, რომელთაც მართალია სახელმწიფო დაარსეს და მხოლოდ ამით მიეცათ უფლება საერთაშორისო სამართლისაგან დამოუკიდებლად აღიარებისა, მაგრამ მათი სახელმწიფო სხვა ერებს არა სჩვენავდა და თითქმის ერთი და იგივე გამოვიდა მათი ერი და სახელმწიფო. ამ მხრით რამოდენიმედ ერთა თანასწორობის აღიარებას უდრის სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარება.

ჩამოვთვალთ უმთავრესი ავტორები*). დავინახოვ-

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ ზემო-მოყვანილი ფაქტები და სხვა და სხვა ავტორთა აზრებიც ჩვენ მოგვყავს E. Nys-ის წიგნიდან: *Le droit International*, t. 1. მისივე წიგნიდან: *Le concert Européen et la notion du droit International*. ვსარგებლობდით აგრეთვე. E. Rec-

რთ მხოლოდ, რომ სადაც ისინი სიტყვა *ერსა* ხმარობენ, აქ სახელმწიფო უნდა ვიგულისხმოდ. ეს მიტომ არის საჭირო, რომ, განვიმეორებთ, ერი და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის, და, მაშასადამე, სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარება კიდევ არ ნიშნავს ერთა თანასწორობის აღიარებას.

შვედ ავტორთა შორისაც იყო აზრი სახელმწიფოთა თანასწორობისა.

ქრისტიათა დე ვოლფი 1749 წელს თავის *Jus gentium scientifica pertractatum*-ში ამბობდა: „ბუნებით ყველა ერი თანასწორია. ერები თავისუფალ პიროვნებათა ჰეგვანან, ბუნებითი წესით მცხოვრებთ. ბუნებამ ყველა ადამიანი თანასწორად გაჩინა, ამ გვარადვე ყველა ერი თანასწორია“. — 1758 წელს, ვოლფის მოწაფე ემერ დე ვატტელი სწერდა თავის *Droit des gens*-ში: „რადგანაც ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან, და რადგანაც მათი უფლებანი და ვალდებულებანი თანასწორნი არიან, როგორც აგრეთვე ბუნებითი, — ერებიც, რომლებიც შესდგებიან ადამიანთაგან და რომელნიც უნდა განვიხილოთ, როგორც თავისუფალნი პიროვნებანი, ერთად მცხოვრებნი ბუნებითი წესით, ბუნებითად თანასწორნი არიან აგრეთვე და ბუნებისაგან აქვსთ მინიჭებული ერთი და იგივე უფლებანი და ვალდებულებანი. ძლიერებანი სისუსტე, ამ თვალთ-საზრისით, არავითარ განსხვავებას არა ჰბადებს მათ შორის (კურსივი ჩვენია). კაცუნაც ისეთივე ადამიანია, როგორც ბუმბერაზი; ზატარა რესპუბლიკაც ისეთივე სუვერენი სახელმწიფოა, როგორც უძლიერესი სახელმწიფო“.

მეტწილად საუკუნის ინტერნაციონალისტთა შორის კიდევ უფრო სათლად აღიარეს ეს თანასწორობა. თავის წიგნში: *Précis du droit des gens moderne de L'Europe* ყოველ ფრედერიკ მარტენის სწერს: „ერთა შორის, როგორც პიროვნებათა შორის, არსებობს სრული თანასწორობა ბუნებრივი და ახლოდღეობითი უფლებათა, ე. ი. დამოუკიდებლად ტერიტორიისა, ხალხისა, ძალათა, სუფლისა და კანსტიტუციის სხვა და სხვაობისა და მთავრობის მეტის თუ ნაკლების სიძველისა; ყველას აქვს უფლება ის მოიმჩქედოს, რაცაც სხვის დამოუკიდებლობას არას დაუძლის, და არავის სრულიად არავითარი უფლება არა აქვს რაიმე პოზიციური აქტი ჩაადენინოს მას ძლით, თავის სასარგებლოდ“.

„ყველა სახელმწიფო, ამბობს კლიუბერი, არის თანასწორი ზნეობრივი და თავისუფალი პიროვნება, და ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც გამომდინარეობს ამ მისი პიროვნებიდან. მაშასადამე“.

ლუს-ს წიგნი: *L'Homme et la Terre*, v. V; *Reuè Pinnon, L'Europe et L'Empire Ottoman* და სხვა წყაროებით.



მე მათი უფლებანი თანასწორნი არიან.“ სერ რობერტ ოილდემორს გამომწვევს სწორ-უფლებიანობა იქიდან, „რომ ყოველი სახელმწიფო წევრია მსოფლიო საზოგადოებისა“. სერ ტრევერს ტვაისსი ამტკიცებს, რომ ერთს დამოუკიდებლობა ანოლოგიურია: არც ძლიერებსა და არც სისუსტეს არ შეუძლიანთ წარმომადგენელნი ამ მხრით რამე განსხვავება; ჩერნოგორიის სამთავრო ისეთივე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, როგორც რუსეთის იმპერია“.

ბლიუნსლი ამბობს: „ყველა სახელმწიფო თანასწორია, რადგანაც იგინი პიროვნებანი არიან. ისინი ყველანი ღებულობენ მანაწილეობას საერთაშორისო სამართალში და უფლება აქვსთ, რომ მათ არსებობას პატივი სცენ. სახელმწიფოთა შორის თანასწორობა იგივეა, რაც მოქალაქეთა შორის თანასწორობა. განსხვავება სიდიდისა, სიძლიერისა და ხარისხისა ვერ შესცვლის ამ თანასწორობას, რადგანაც ეს თანასწორობა სწორედ მით გამოიხატება; რომ აღიარებულია სახელმწიფოთა თვისება იურიდიულ პიროვნებასა, და მითაც, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპები გამოუკლისად ყველას შეეხება“. ბლიუნსლი ამასთ ნავე ემყარება ჩარლს-სომნერის განცხადებას შეერთებულ შტატების სენატში 23 მარტს 1871 წელს: „ხალხთა თანასწორობა არის საერთაშორისო სამართლის პრინციპი ისევე, როგორც ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების აქსიომა მოქალაქეთა თანასწორობასა. რასაც დაღსა და ძლიერ ხალხს ვერ უზამ, იგი პატარასა და სუსტს არ უნდა უქნა,—არც ის, რასაც, ჩვენთვის რომ ექნათ, ვერ მოვითმენდით.“

„საფუძველი სახელმწიფოთა საერთო ერთო უფლებათა, ამბობს ლეიბოლდ ნეიმანი, არის მთი თანასწორობა. ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, ლინტენშტეინი თუ რუსეთი, პრინციპიალურად თანასწორნი არიან, მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები სიძლიერისა; თუმცა სიძლიერის უთანასწორობა ქბადებს ხშირად ფაქტობრივ უთანასწორობას და ნამდვილ პრაქტიკაში ევროპის დიდ სახელმწიფოებს ეძლევათ უპირატესობა პირველობისა ან ხარისხისა“ (ფლენდაც B.).

„ისე, როგორც მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე, ამბობს ფრ. მარტენსი თავის *Traité du droit international*-ში, დამოუკიდებელი სახელმწიფოები თანასწორნი არიან საერთაშორისო სამართლის წინაშე. მათ აქვსთ ყველას ერთგვარი უფლებანი, რომელთაც საერთო ერთოდ პატივი უნდა სცენ. მათა თანასწორობა სამართლის წინაშე გამომდინარეობს თვით საერთაშორისო საზოგადოების იდეიდან. ამ თვალთ-საზრისით, იგი თეორიის საგანია (კურსივი ჩვენის); მაგრამ ტუეილად წართმევენ მას ყოველ პრაქტიკულ მნიშვნელობას და უარ-ჰყოფენ მის ნამდვილ არსებობას... თუ ამ თანასწორობას პრაქტიკაში ყოველთვის პატივს

არა სცემენ, პრინციპი ამით სრულიადაც არ ირყევა (კურსივი ჩვენის). ფუნკ-ბრენტანოსა და სორელის აზრი, რომ „სახელმწიფოთა თანასწორობა ცარიელი სიტუაცია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი პრაქტიკულად ხარციელდება ხელშეკრ., თვით საერთაშორისო საზოგადოების არსებობის ფაქტით ირღვევა. შეუძლებელია საერთაშორისო საზოგადოების არსებობა, თუ მისი წევრნი თანასწორნი არ არიან სამართლის წინაშე... თვით პრინციპი საერთაშორისო საზოგადოების წევრთა თანასწორობისა სრულიად არ ეწინააღმდეგება მათ ნამდვილ უთანასწორობას, მათ სიძლიერისა, მცნოვრებთა რიცხვისა და სიძლიერის მეტ-ნაკლებობას (კურსივი ჩვენის). კერძო პირების შესახებ ასევე ითქმის. ისინი კანონის წინაშე არიან თანასწორნი და მოქალაქობრივი თანასწორობა არის დიდი „თეორიული“ პრინციპი, მთავრებული ევროპის ცივილიზაციის მიერ. მართლაც, ყველას თანასწორად არ შეუძლია თავის უფლებით ისარგებლოს. ამგვარადვე დიდ სახელმწიფოებს ყოველთვის მეტი შეძლება აქვსთ ისარგებლონ თავიანთი უფლებებით და გაიყვანონ იგინი, ვიდრე პატარა და სუსტ სახელმწიფოებს; მაგრამ აქედან მანც ის არ გამოდის, რომ პირველთ შეუძლიანთ უკანასკნელთ კანონი დაუწერონ.“

პასკვალე ფიორე დიდ მნიშვნელობას აწერს სახელმწიფოთა იურიდიულ თანასწორობას და ამბობს: „თავისუფალი და დამოუკიდებელი ხალხი არ შეიძლება აბიულომ რომელიმე უფროსი ადაროს და მის ნებას დაემორჩილოს. ამ თვალ-საზრისით არ არის დიდი და პატარა სახელმწიფოები, და ვიქტორ ჰაუგის თქმისა არ იყოს, „ხალხის სიდიდე ისე არ განიზომება მცნოვრებთა რიცხვით, როგორც კერძო ადამიანის სიდიდე ტანის სიმაღლითა“ (*Traitato di diritto internazionale pubblico*).

ჰელცენდერფი პირდაპირ და გადაჭრით ამბობს: „ის, ვინც უარ-ჰყოფს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანასწორობას საერთო საერთაშორისო ორგანიზაციაში, ამით უარ-ჰყოფს თვით საერთაშორისო სამართლის არსებობას“ (*Handbuch des Völkerrechts*).

პრადიე-ფოდერესთვის თანასწორობა სახელმწიფოთა ანოლოგიური უფლებას. იგი ამბობს თავის *Traité de droit international public européen et américain*: „ეს უფლება არის თან შობილი, როგორც უფლება დამოუკიდებლობისა. ეს არის უფლება პირველ-ყოფილი, აუცილებელი.“ პრადიე ამბობს, რომ სხვა და სხვა ავტორთაგან ეს თანასწორობა განსილული იყო—ზოგისაგან როგორც წესი არსებობისა, ზოგისაგან როგორც პრინციპი, ზოგისაგანაც როგორც უფლება. მისი აზრით არა არის ეს თანასწორობა: „უნდა ადვიაროთ, ამბობს იგი, რომ თვითყოფილი სახელმწიფოს უფლებანი ისეთნაირადვე



უნდა იყვნენ პატივცემულები, როგორც სხვა რომელიმე სახელმწიფოსი, მიუხედავად განსხვავებისა, რომელიც არსებობს ძლიერსა და მეორე-ხარისხიან სახელმწიფოთა შორის ხალხთა რუქაზე; თუმცა სახელმწიფოთა შორის, ისე როგორც კერძო შირთა შორის, ბუნებრივი თანასწორობა ან იურიდიული თანასწორობა არ ეთანხმება აუცილებლად ნამდვილსა ანუ სტრუქტურულ თანასწორობას. მიუხედავად იმისა, რომ თვითთველ ხალხს აქვს უგულვლო უფლება, იგი ვერ ახორციელებს ამ უფლებებს ისეთ-ნაირად, როგორც სხვა ხალხები. მართალია, უგულვლო სახელმწიფო თანასწორია ბუნებრივად და იურიდიულად აბსოლუტური სამართლის თვალთ-საზრისით, მაგრამ უგულვლო არ არის ძლიერი, გავლენიანი თავისი იდეებითა, უშიშროების შქმზე თავის ცივილიზაციითა, საშიშარი თავისი ნივთიერი ძალებითა“.

როგორც ფორმულა სახელმწიფოთა თანასწორობისა ასეთია: „დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ამბობს იგი, თანასწორნი არიან. დიდი თუ პატარა, სუსტი თუ ძლიერი,—თვითთველი ძატიანი არის იმავე სახელით, როგორც სხვა, შირთაშობა საერთაშორისო სამართლისა,—სახელმწიფო. თვითთველი დამოუკიდებელი სახელმწიფო საზღვრებს სხვებთან თანასწორად იმ უფლებით, რომელიც გამომდინარეობს მისი დამოუკიდებლობიდან და მისი საერთაშორისო საზოგადოების წევრობიდან,—სავსებითა—და თანხმად იმ ხელშეკრულებათა, რომელიც მას აქვს სხვა სახელმწიფოებთან დადებული“. „უფლებრივი თანასწორობა, ამბობს იგი აგრეთვე, არ არის წინააღმდეგი სხვა და სხვა ნამდვილ უთანასწორობისა. სახელმწიფოთა შორის ისე, როგორც კერძო ადამიანთა შორის, არსებობენ ნამდვილად და აუცილებლად უთანასწორობანი მდგომარეობისა, გავლენისა, ძალისა და სიმდიდრისა. ერთა ზედიზე თუ შეკრებილი შეთანხმება მათ იგულისხმებს და აკანკებს“. . როგორც თავის აგრეთვე სახელმწიფოთა თანასწორობა არის აუცილებელი შედეგი სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა:

„დამოუკიდებელი სახელმწიფოები უგულვანი თანასწორად სუვერენები არიან,—ამბობს იგი; არავითარი ძალა არ არის მათ ზევით; არც ერთი არა სდგას სხვაზე უფრო მაღლა“.

ბევრი არიან ასეთი შეცნობებიც, რომელნიც უარს ჰყოფენ სახელმწიფოთა შორის არსებულ თანასწორობას, და სამართლიანადაც. ასეთი: მაგალითად ლაზარევი, რომლისთვისაც სახელმწიფოთა შორის თანასწორობა ისეთივე ფიქტია, როგორც შირთაშობათა შორის თანასწორობა. ეს სრული ჭეშმარიტება იმ მხრით, რომ თანამედროვე ცხოვრებაში არ არსებობს არავითარი თანასწორობა დიდსა და პატარას, ძლიერსა და სუსტს სახელმწიფოთა შორის, მაგრამ, როგორც შენიშნეს, აქ თეორიულ თანასწორობაზე არის ლაზარევი, შირინცი-

ზედ, უფლებრივ თანასწორობაზე, და ასეთი თანასწორობა რომ არსებობს ინტერნაციონალისტთა იდეაში, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში მანც,—ეს უმჯობელი ფიქტია. ხოლო რამდენად ვითარდება თვით საერთაშორისო სამართალი და აწესრიგებს საზოგადოებათა შორის განწყობილებათა, უფრო და უფრო სშირად ერევა საერთაშორისო საქმეებში, მით უფრო ხორციელდება კონკრეტულად იდეალი თანასწორობისა.

მართალია ამ შირინცივის წინააღმდეგი ყოველთვის იყო პოლიტიკა, ყოველთვის დიდი სახელმწიფო სტრუქტურა ხოლმე პატარაები ჩაეკლავა და მათ უფლებათა არა თუ თანასწორობა აღარებინა, არამედ კიდევაც ჩამოერთმია სრულიად. მაგრამ არც ამ უკანასკნელთ ეძინათ ხოლმე. და ყოველთვის დიდი დესპოტების იერიშს წინ-უხვდებოდა ხოლმე მცირეთა და სუსტთა კავშირი. ეს კავშირი დახვეწებდა ხოლმე უკან დიდ დესპოტსა და ყოველ ასეთ აქტს მოჰყვებოდა ხოლმე ადარება დიდისა და პატარის თანასწორობისა.

ხან სუსტები შეერთებული ძალით უსწორდებოდნენ ძლიერსა, ხან ერთმანეთის ძალებს გასწორდებოდნენ ხოლმე სახელმწიფოები, რომ მეტ-ნაკლებობას და ერთის სიძლიერეს არ დაერღვია საერთო მშვიდობიანობა ასეთნაირად იბადებოდა ცნება ექვილიბრიუმისა, რომელიც ერთის დესპოტიზმთან შედარებით ნაბიჯი იყო თანასწორობისაკენ ანუ მოხდა, მაგალითად, იტალიაში, როცა ხუთმა სახელმწიფომ—ფლორენციამ, ნეპოლმა, მილანმა, რომმა და ვენეციამ მოაწვევეს ექვილიბრიუმი მე-XVI საუკუნის დასაწყისში. ასე იყო, როცა სხვა ნამდვილმა მანდილმა მთელი ქვეყნის დაყოფა პატარ-პატარა ნაწილებად და მათზედ უგულვოდ ბატონობა, და შეერთებული ევროპა ამიტომ გამოვიდა მის წინააღმდეგ თანასწორობისა და ექვილიბრიუმის სახელით ასევე იყო, როცა სხვა თვით ეს ტიტოტარხისა, ე. ი. რუსეთი, ინგლისი, შვეიცარია და ავსტრია და შემდეგ პრუსიისა—სოფრანგეთის მიმართებით,— და კერძოდ ციმბლეთი—განდენ სამხელ რეპუბლიკურ ძალად მთელი ევროპისათვის და მისი ერებისათვის,— და ამიტომაც მთელი ევროპის ერები აღსდგენ თანასწორობისათვის და იბრძოდნენ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ამ ბრძოლიდან ერთი დიდი სახელმწიფოც კი გამოვიდა,—იტალია,—რომელიც დიდ სახელმწიფოთა რიცხვში შევიდა და პრუსიისა ექსტრემად გადაქცია. ასეა დღესვე,—მიუხედავად თანასწორობის შირინცივიანად აღიარებისა,—როცა დანარჩენი ერები იბრძვიან სწორედ ამ საერთაშორისო სამართლის წინაშე სწორ უფლებიანობის მოპოვებისათვის.

მაგრამ სწორედ აქ იხიენ თავს ერთი სუსტი მხარე თეორიულად აღიარებული თანასწორობისა სახელმწიფოთა შორის. თვით შირინცივი „ერთა“ თანასწორობა



ბისა, სახელმწიფოთა თანასწორობის საერთაშორისო სამართლის წინაშე—დიდებული რამე პრინციპია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არასოდეს საერთაშორისო სამართალი სწორ-უფლებიან წევრად არ იღებს ისეთს კრს, რომელიც ფაქტიურად არ არსებობს, როგორც სუვერენი სახელმწიფო. ისტორია კი ვეჩხეებს, რომ ერები სწორედ სახელმწიფოების მონობისგან განთავისუფლებულან, შეუქმნიათ თავიანთი სახელმწიფოები და ისე მიუღია იგინი საერთაშორისო სამართალსა. დღესაც დანარჩენი ერები განთავისუფლების გზაზე არიან, და მაშასადამე ხვალ შესაძლებელია სუვერენი სახელმწიფოები დაარსდნ და საერთაშორისო სამართალიც იძულებული იქნება მიიღოს იგინი. პრინციპად კი აღიარებს ეს საერთაშორისო სამართალი თანასწორობას სახელმწიფოთა და მათ უფლებათა ხელ უხლებლობას, განსაკუთრებით მათ ტერიტორიათა ხელ უხლებლობას. მაშასადამე, რაც დღეს ხელ უხლებელი იყო ერთიანთვის, იგი ხვალ მისივე მოწინააღმდეგისთვის დაკანონებულ უფლებად ხდება საერთაშორისო სამართლის მიერ. გუშინდელი პოლიტიკა, რომელიც რუსეთის უფლების ხელ უხლებელ სოფრში შედის, ხვალ აღიარებული იქნება რუსეთთან სწორ უფლებიან სახელმწიფოდ იმავე საერთაშორისო სამართლის მიერ! — ცხადია აქ რაღაც დიდი წინააღმდეგობაა

და ეს წინააღმდეგობა მკითხველმა იცის, რაშიაღ არის. მართალია არსებობს საზოგადოებათა საზოგადოება, სახელმწიფოთა საზოგადოება, რომლის მომწესრიგებელი თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართალია, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოთა არ არის ბუნებრივი საზოგადოება, და მაშასადამე არც ბუნებრივი წევრი საზოგადოებათა საზოგადოებისა. ასეთ საზოგადოებად და ასეთ წევრად საერთაშორისო საზოგადოებისა შეიძლება იყოს მხოლოდ ერი, — და აკი ყოველივე დამლა დიდ იმპერიათა, ყოველივე შემთხვევაზე შემხსენებულ წინააღმდეგობისა საერთაშორისო სამართლის მოქმედებაში, ერის უფლების მოპოვებისა და მისი საერთაშორისო სამართლის წევრად სწორ-უფლებიანად შესვლის პოტენციალი არ არის?

ერია ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი, და არა სახელმწიფო, სადაც შეიძლება მრავალი ერი შედიოდეს, და ამანაც უნდა დამალდეს დიდი სახელმწიფოები. მაშასადამე იგი უნდა შედიოდეს საერთაშორისო საზოგადოებაში, როგორც სწორ-უფლებიანი წევრი, და მაშინ აღარ იქმნება შემხსენებელი წინააღმდეგობა უფლებრივ პრინციპის თვით შინაგან არსებაში. ერი, და არა სახელმწიფო უნდა იყოს საგანი საერთაშორისო სამართლისა, — იმ იდეალურ საერთაშორისო სამართლისა, რომელმაც უნდა დაიჭიროს ადგილი თანამედროვე სახელმწიფოთა შორისო სამართლისა. ერთა და არა სახელმწიფოთა შორის უნდა იყოს გამტკიცებელი თანასწორობა, თეორიული მანინც,

რომ შემხსენებელი წინააღმდეგობას ადგილი აღარ ჰქონდეს. მაშინ საერთაშორისო სამართალი მართლა საერთაშორისო იქნება და არა სახელმწიფოთაშორისო. დღეს კი სახელმწიფოთა, საუბედროდ, საგანი საერთაშორისო სამართლისა. მაგრამ როგორც წინააღმდეგულ სოციალურ ჯგუფებს, დღესაც სახელმწიფოებსაც კი, ამ კაცობით უფრო ნაკლებად ბუნებრივ სოციალურ ჯგუფებს, აკვირებს საერთაშორისო სამართალი და აცხადებს პრინციპს მათ შორის თანასწორობისა. შემდეგ კი მათ ადგილს უფრო ბუნებრივი სოციალური ორგანიზმები, სოციალური ორგანიზმთა ჯგუფები დაიჭერენ, — ერები. მაშინ კი ის შემხსენებელი წინააღმდეგობა საერთაშორისო სამართლისა რაც უფრო ხშირად განმეორდება, მით უფრო მოსპობს თანამედროვე სასიათს საერთაშორისო სამართლისა, სანამ ამ სამართლის საგანს მარტო ერები არ შეადგენენ გამთქვალისად. მაშინ აქვს სრული უფლება ილაშქროს ერთა სწორ უფლებიანობაზე საზოგადოებათა საზოგადოებაში. მაშინ თვით სამართალიც განწმენილი და იდეალური იქნება, აღარ იქნება მარტო თეორიული თანასწორობა, არამედ პრაქტიკულიც სამართლის წინაშე.

ყოველ შემთხვევაში დღესაც თვით სამართალი არაფერ შუაშია. იგი აწესრიგებს იმ საგანთა შორის განწყობილებას, რომლებიც აქვს. მიეცით მას სხვა საგანნი, — სხვებს მოაწესრიგებს თანამედროვე სახელმწიფოთა ნაცვლად. საგანნი თვით აძლევენ თავიანთ თავს საერთაშორისო სამართალს მოსაწესრიგებლად, და სამართალიც ყოველთვის ასრულებს თავის მოვალეობას.

ამას გარდა თვით მეცნიერებმაც მიაქციეს ყურადღება საერთაშორისო სამართლის დღევანდელ საგანს და დავაც აქვს, — ერი უნდა იყოს ეს საგანი თუ სახელმწიფო. აქ უკვე ერის ცნება იჭერს სახელმწიფოს ცნების ალაგს საერთაშორისო სამართალში და შემდეგ წერილში გავაგრძელო მკითხველებს მეცნიერთა აზრი ამ საკითხის შესახებ.

Báton.



ქართულ სამართლის ისტორია.

პირველი ნაწილი (VIII--XII) ს.

თავი I.

ქართული სამართლის წყაროები.

საკუთრივ ვახტანგის კანონები ნამდვილი სამართლო წიგნია და იქ მხოლოდ ის არის, რაც მართლმსაჯულებას შეეხება: მაგალითად, შესავალს მისდევს „კარი თეთრის განრიგებისა“, „კარი გაყრისა და ერთმანერთის დაშორებისა, თუ ვით უნდა“, „კარი პირველი ვალისა თუ როგორ აიღების“, „ამანათისთვის“, „კარი ქურდობისა და სამართალი მისი“, „კარი ნასყიდობისა“, „გაცვლილობისა“, „თუ ვითარ ხამს დაწერა განაჩენისა“ (ibid. 400, 416, 420, 425, 426, 428, 429, 437); კანონებიც შინაარსის მიხედვით არის დალაგებული. საზოგადოდ ვახტანგმა ერთი საყურადღებო ცვლილება შემოიღო და საქართველოს სამართლის განვითარება თვალსაჩინოდ დააწინაურა. სასამართლო წიგნის შედგენის გარდა მან შექმნა სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესრიგისა და კანონების წიგნი, რომელსაც „დასტურლამალი“ ჰქვია. ვახტანგი წინასიტყვაობაში აცხადებს: „ვიგულისმოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა, განუჩინეთ და განვუწესეთ წიგნითა ამით, რათა ყოველნი ხელისუფალნი და მომქმედნი დარბაზის რიგისნი ესრეთ იქცეოდნენ და განაგებდნენ თვსთვსნი მოხელენი საკელოთა თვსთა, და წესითა და შემსგავსებითა იქცეოდნენ... ჰსჯულსდებასა სახელმწიფოთასა ეგნენ უცუალებლად, ღ ნურავინმცა მკადრე იქმნებიან ბრძანებულისა რიგისა ამის შეცუალებით სლვასა“ (პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით გამოც. დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა“, თბილისი 1886 წ. გვ. 3) მაშასადამე „დასტურლამალში“ მხოლოდ სახელმწიფო მართვა-გამგეობის „წესი და რიგი“ (ibid 4) განჩენილი: მეფის დარბაზობის რიგი, ყველა მოხელეების უფლება, მოვალეობა და სარკო, სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის შესახები დებულება, გადასახადების რაოდენობის განსაზღვრა და აკრეფის წესი და სხვა და სხვა; ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც-კი სახელმწიფო სამართალს ეკუთვნის. ამგვარად ვახტანგმა მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა ერთიერთმანერთისაგან განსაზღვრა და სახელმწიფო სა-

მართალსაც დასტურლამალის შექმნით მტკიცე საფუძველი დაუდგა; ამიერიდან სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარკვეული წეს-რიგი იყო დამყარებული და მისი რყევა ღ დარღვევა ისე ადვილი აღარ იქნებოდა, თუმცა თვით ვახტანგის „დასტურლამალი“ დანა სჩნს, რომ დასტურლამალს ზოგიერთი ნაწილი „პირველ მეფის გიორგისაგან განწესებული“ ყოფილა და ვახტანგს მხოლოდ განუახლებია (ibid. გვ. 109), ზოგი კიდევ უფრო ადრეც ყოფილა დაწესებული; არსებობდა მაგ. „ძველიდგან და აწ მეფე გიორგისაგან დამტკიცებული“ საბუთები (ibid. 128, 129), მაგრამ უმთავრესი ღვაწლი ვახტანგ მე-VI-ეს მიუძღვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, როგორც სჩანს, დასტურლამალისთანა წიგნი, სადაც დარბაზობის და სხვა სახელმწიფო გამგეობის შესახებ ცნობები ყოფილა მოთავსებული, უეჭველია უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც მრავალი სხვა საბუთებიც, შემდეგ აღბად დაკარგულა; როგორც სჩანს ე. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი სახელმწიფო კარის „გარიგება“ც ვახტანგის დროს დაკარგული ყოფილა; ვახტანგის დროს მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფო მართვა-გამგეობის დარგის შესახებ არსებობდა გიორგი მეფის დასტურლამალი. რაკი სიტყვა „დასტურლამალი“ არაბულ-სპარსული სიტყვაა, შეიძლება გვეფიქრნა, რომ თვით ეს ვახტანგის წიგნიც სპარსულ ამგვარისავე თხზულების მიბაძვით ყოფილიყოს შედგენილი, მაგრამ სპარსულად ამნაირი ნაწარმოები არ არსებობს, მხოლოდ ერთს სპარსელს მე-XIX-ე საუკუნის ისტორიკოსს თავის წიგნის ბოლოს სპარსეთის ყველა მოხელეთა ნუსხა აქვს დართული, მაგრამ ვახტანგის დასტურლამალსა და იმ ნუსხის შორის დიდი მზღვარი ძვეს. რომ ვახტანგის წიგნი მისი ნაწარმოებია, ეს თვით შინაარსითაც მტკიცდება; იქ ნამდვილი ქართული სხვა და სხვა მართვა-გამგეობის შესახები საბუთებია შეკრებილი და რიგზე დალაგებული, მაგალითად: „მდივანბეგობის წესი და რიგი“, რომლის შესახებაც ვახტანგი ამბობს, „მოკითხული ვქენით და ამ წესით ყოფილიყო გარიგებული და ახლაც ამ წესით გვიბოძებია“ (ibid. 56) ერასტი ორბელიშვილის სახელობაზე დაწერილი საბუთია „მშენების სარგოსათვის (ibid. 49), ვაზირის სარგოსათვის (ib. 32), „მოქალთ ხუცესების სარგოსათვის“ (ib. 16) და სხვა მრავალი. სამწუხაროდ აქ ვერ შევხებით და ადვილი ნებას არ გვაძლევს ვრცლად გამოვარკვიოთ, თუ როგორ შესდგა თანდათან „დასტურლამალი“; საჭიროა მხოლოდ აღენიშნოთ, რომ „დასტურლამალი“ ძვირფასს საუცხოვო ცნობებს

გვაძლევს სამეფოს წესწყობილების ყოველ მხრის შესახებ, ისეთს მასალებს, რომლის პოვნა სხვაგან არსად არ შეიძლება; ეს წიგნი ჩვენ სამართლის ისტორიისა და ეკონომიურ მდგომარეობის შესწავლისათვის დაუფასებელი განძია „დასტურლამალი“, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამ ძეგლის გამომცემელი პეტრე უმიკაშვილი, 1704—11 წლებში უნდა იყოს დაწერილი (ibid. IV); იგი საუცხოვოდ არის გამოცემული სამ დედანით და ზედაც ჩინებული ლექსიკონი აქვს დართული. ამგვარად ვახტანგმა შექმნა ჩვენში ცალკე, მტკიცე სახელმწიფო სამართალი; მაგრამ ამაზე არ შეჩერებულა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართულ სამართლის ასპარეზზე. საქართველოში სასოფლო პოლიციის მოვალეობა, ქურდების დაჭერა და დაკარგულის აღმოჩენა მე-XVI—XVII-ე საუკუნეების ბერებს ებარათ; რაკი ეს მოვალეობა სამართლის ისეთი დარგი იყო, რომ სახელმწიფოსაცა და მართლმსაჯულებასაც ეხებოდა და ამის გამო საქმე შეიძლებოდა არეულიყო, ამიტომ ვახტანგ მე-VI-ემ ეს დარგი გამოაცალკევა და განსაკუთრებულ „სახევისთავო სამართლის წიგნის“ შედგენა დააპირა; დაულალავი მეფე ბრძანებს: „კეის თაგმა როგორც ისამართლონ იმის სამართლის წიგნს მივსცემთ, ისრე მოიქცენ“ო (დასტურლამალი, ibid. 100). სამწუხაროდ მასალებიდან არა სჩანს, დასკალდა ვახტანგს თავის განზრახვის აღსრულება თუ არა? ცხადია, რომ ცალკე სახევისთავო სამართლის დაწესებით ვახტანგი ქართულ საპოლიციო სამართალს შექმნიდა.

ერეკლე მეფის დროს ახალი საზოგადო სასამართლო წიგნები არა შეუდგენიათ რა, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო გამგეობისა და წესრიგის შესახები ცალკე კანონები და ერთი პატარა ადგილობრივი სასამართლო წიგნი იყო გამოქვეყნებული: 1765 წელს მეფე ერეკლეს, საქართველოს კათოლიკოზისა და ეპისკოპოზთა, დარბაზის ერთა და ყოველთა ჩინებულთა განჩინება იყო დადებული, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხები ყმობისაგან განთავისუფლებულები უნდა ყოფილიყვნენ; სამწუხაროდ ჯერჯერობით ამ განჩინების ქართული დედანი გამოქვეყნებული არ არის, დაბეჭდილია მხოლოდ რუსული თარგმანი (Д. Пурцеладзе. Груз. крест. грам. გვ. 17); 1774 წელს, 4 იანვარს დადგენილი იყო განაჩენი საქართველოში „მორიგი ლაშქრობის“ დაწესების შესახებ; განაჩენი დაიწერა „ერეკლე მეორისა საქართველოს მეფისაგან, თანდასწრებით... უფლისწულის გიორგისათა და ყოვლად სამღვდელთა საქართვე-

ლოს ეპისკოპოზთა და ბრწყინვალეთა თავადთა და ეკრეფე ყოველთა კარის მოხელეთაგან და შემდგომთა დარბაზის ერთა და ყოველთა სამღვდელთა დასთაგან და ეკრეფე ყოველთა საქართველოს ჩინებულთაგან;“ ეს საყურადღებო განჩინება დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენ“ში (ტომი I, 187—198). 1782 წელს 14 ოქტომბერს არაგვის საერისთაოს მპყრობელმა ერეკლე მეფის ძემ ვახტანგმა თავის „ძმის ბატონიშვილის ლეონისაგან მთებში დადებული განჩინება ხელმეორედ“ განაახლა და რამდენიმე თავის მიერ განწესებულებიც თან ჩაუბითო. ეს არაგვის საერისთაოს განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა არაგვის ხეობის სასამართლო წიგნია; ეს საყურადღებო ძეგლიც ე. თაყაიშვილმა გამოსცა (იხ „საქართველოს სიძველენი, ტომი I, გვ. 203—208). საკვირველი ის არის, რომ არც ალა-მაჰმად ხანის საშინელმა შემოსევამ და ქვეყნის აოხრებამ გაუტეხათ მაშინდელ მოღვაწეებს გული, თვით მთავრობის ზოგიერთი წრეები გრძნობდნენ, რომ დავრდომილ სამშობლოს აღდგენისათვის საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა იყო საჭირო; საქართველოს აღდგენის საშუალების გამონახვაზე გიორგი მე-XIII-ის ძეს იოანე ბატონიშვილსაც ბევრი უფიქრია და 1799 წელს ვრცელი მოხსენება დაუწერია, რომელშიაც დაწვრილებით ჩამოთვლილია, თუ რაღარა ცვლილება იყო იმის აზრით აუცილებლად საჭირო საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში; „სხუა და სხუაგურამან ცუალებამან კანონთამან, უთანკმოებამან და უწესოებამან მართებლობისამან მოიყტანეს თითქმის სრულიად საქართუტლოესა ერნი განწირულებასა შინა და ამა გარემოებასა შინა აღყტანებულ იქმენ, მოახსენებს იოანე ბატონიშვილი გიორგი მე-XIII-ეს, საყდარსა წინაპართა შენთასა და ჰსქურეტ ყოველსა ამას უწესოებასა და წარუმართებლობასა საქმისასა და, უკეთუ ღონესა არა რაესამე მოიპოვებთ, ესე უბედურებაჲ იქმენების განგრძელებულ; მოქრისტიანულისა და ერდგულურისა გულითა, ვითარცა მშობელისა მიწისა ჩუტნისა ერთმამულეთათვის, ეკრეფე უმაღლესობისა თქტუნისათვის შევედ ესე გუარსა კადნიერებასა და ესე ღონეჲ, რომელიცა იქმენების სარგებლოვანი და არცა სამძიმო ერთათვის, აქა მოვიხსენენ რაოდენნიმე მუხლნი ჰსჯულსადებელად ქტსშვეგრდომთა და სქესთა მეფისაძესთასა და სამღვდელთა-თავადთასა; რომელი, უკეთუ იქმენების სრულყოფა ამისი, ვსასოებ, რათა ამის ძალით იდიდნეთ თქუენცა და სარგებელ ექმენცა საზოგადოდ მცხოვრებთა საქართუტლოესა შინა“ო,



დასძენს იოანე თავის „წინადადება“ში (იხ. პეტერბურგის საჯარო სამკითხველოს ხელნაწერი თვით იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკიდან № 65, გვ. 1 ა); შესავალის შემდეგ ბატონიშვილი მხედრობისა, შემოსავლისა, ფულისა, მოხელეებისა, სამღვდელთა დიკასტერიისა, ნიშნებისა და სხვანაირი ჯილდოებისა, სკოლებისა და სასწავლებლებისა, მეფისა და წევრთა მეფისათა ჯამაგირის დაწესებისა, მეფისძეთა მემკვიდრეობისა და ბევრ სხვა საგნების შესახებ მსჯელობს. ეს მოხსენება დაწერილია „წელსა 1799, თჳსსა მაისს 10, ტუილისს,“ და იოანე ბატონიშვილს მეფისათვის წარუდგენია და როგორც თვით ავტორი ამბობს „მათჳან სიმაღლემ ღმრთაღმი განსვენებულჳმან მეფეჳმან აღმითქო და მოიწონა ესე ჰსჯულდება სამოქმედოდ“ო; „გარნა სიკვდილჳმან მოუსწრაფა“ო, დასძენს ბატონიშვილი; „ჩუჳნცა შევჳტმთხჳ ესე და მოვაკლდით ყოველსავე“, განაგრძობს იგი; „ვისაც ღმრთნ მოგცეთ და კელმწიფის წყალობით მიემთხჳტო, თქჳენც განიხილეთ ესე და ნუ მომდგრდებით; რა ერთხელ დიადება წესი წარმატებაში წავალს; პირველ დაწყება ყოველისა საქმისა ძნელია და ოდეს გულის მოდგინედ შეუდგება, ასეთი არა არს რა ბუნებისაგან ნაწარმოები, რომელსა ზედა არა ძალედვას შეჳართებად ძალსა კაცობრივსა. მე ამაზედ ვსასოებ, რადგან ეკლესიის კანონნი სხჳა და სხჳა ცჳალებჳშიაც მაინც მომდინარეობენ პირველისამებრ; უკეთუ ესეცა დაწესდება, ერთა შორის არღა ჰსცუალებს მომდინარეობასა თვისსა, ვინაჲდგან ერთი საქართველოსანი, ვა არიან მტკიცე სარწმუნოებასა ზედა, ეს სახედვე მტკიცედ დაიცვენ ჰსჯულვილებასა(ცა, ვინაჲდგან სდ საზოგადოებისა სასარგებლო არს“ო (ხელნაწერის გვ. 22 a-b); იქვე ივანე ბატონიშვილი საკუთარის სახელით აწერს „იოანე“ ბატონიშვილი. მაშასადამე რუსის მთავრობას რომ საქართველოს სამეფო არ მოესპო, მაშინ ეს მოხსენება განხორციელებული იქნებოდა; ამიტომ ამ საინტერესო ძეგლის შესწავლა აუცილებლად საჭირო, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ნაყოფის მოტანა შეეძლო ამ მოხსენების განხორციელებას, და გავითვალისწინოთ, რამდენად სწორედა ჰქონდა წარმოდგენილი ავტორს საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და გაჭირვება. მთელი ეს ნაწარმოები დედნიდან გადმოწერილი გვაქვს და ქართულ სამართლის ყველა წყაროების კრებულში ვაპირობთ გამოცემას. ამ საყურადღებო მოხსენების გარდა იმავე დროს იოანე ბატონიშვილის უფროსს ძმას საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს დავითსაც შეუდგენია სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და

მართმსაჯულების ცვლილებისათვის ახალი კანონები. შავად დაწერილი ხელნაწერი მისივე შენიშვნებითა და მინაწერებით პეტერბურგის საჯარო სამკითხველოში ინახება და იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკას ეკუთვნის (№ 79); თავი აკლია და თუ როდის არის შედგენილი ეს კანონები ხელნაწერში არ არის აღნიშნული, მაგრამ რაკი დავითი თავის თავს „მეფედ და მფლობელად“ უწოდებს, ეტყობა რომ გიორგი XIII-ის სიკვდილის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი, იმ დროს განმავლობაში, როცა ბატონიშვილები ჯერ კიდევ სამშობლოში იმყოფებოდნენ. ხელნაწერში შემდეგი კანონებია: „№ 1 უცხოის ქვეყანათ შემოსულთ წყალობაზედ, სითარხნეზედ და ბინის მიცემაზედ ღმრთისთა (sic!) და წყალობა ჩვენ დავით“) შედეგ ჰმეფობელი სრულიად საქართველოსი სხვათა და სხვათა“; ამ სითაურს ზედ მისდევს შესავალი და განიხილად 20 მუხლი; „№ 2 ყოველივე ძეგლისა და ახლისა დაგების გარდაჭრაზედ“, აქაც სითაურს შესავალი მისდევს და 17 მუხლი; „№ 3 კაცის სიკუდილის უკან მისი დოვლათისა და მის ცოლშვილის ბინის მიცემაზედ“, შესავალს 83 მუხლი მისდევს; „მანიფესტით № 3 (sic!) კაცი რომე მკვდეს და მის ობლები დარჩეს მისი დოვლათისა და ობლების ბინის მიცემაზედ საქართველოს შინა“, შესავალს 41 მუხლი მისდევს; „№ 4 მამის სიკუდილის უკან ვისშეს ობელს თუ ვალი რჩებოდეს და მის დახსნაზედ ვალისგან“, შესავალს 12 მუხლი მისდევს; „მანიფესტით № 4 (sic) მამის უკან რომე ვალი დარჩეს და შვილებს ედავებოდნენ“, შესავალს 9 მუხლი მისდევს (მე-9-ე მუხლი თუმცა გადასხმულია); „№ 5 დედის ვალის ქვეშე ჩავარდნაზედ და თუ შვილებს ედავებოდნენ მასზედ გარეშული“, ვრცელს შესავალს 29 მუხლი მიჰყვება; „მანიფესტით № 5 (sic) დედა რომე ვალქვეშ ჩავარდეს და შვილებს ედავებოდნენ“, შესავალს 16 მუხლი მისდევს; „განუყრელთ ძმებზედ დოვლათთან და ბედოვლათათვის და მრავალს რიცხვთ უსამართლობაზედ“, ვრცელს შესავალს 82 მუხლი მისდევს; „№ 6 მანიფესტით: ყოველთ განუყრელთ ძმათათვის ბიძაშვილებისათვის ბედოვლათობისა და გაყრის მიზეზებისათვის, მამულის გაფუჭებულისათვის (sic) და ახუსხვა კეთილთ და ბოროტთ შინა რა სამართალთ უნდა მიეცეს“, ვრცელს შესავალს 43 მუხლი მისდევს; „№ 7 სრულიად საქართველოს აღწერაზედ კაცისა და მანდილოსანთ გვამი, მოხუცებულთ ერშათამდე და რომლის რიგზედაც უნდა აღწერონ და რიგის ჩამოყარდნაზედ“, შესავალს 8 მუხლი მისდევს; „№ 8 რა სარწმუნოების მღუდელი რომე იყოს მათის ვალის აღსრულებაზედ“;

* მერე ეს სიტყვა წაუშლიათ; ამ სახელს მისდევს ფრჩხილები (), მაგრამ შიგ კი არაფერი სწერია.

შესავალს 12 მუხლი მისდევს; „მანიფესტით „№ 9 სენატისა (sic) და სასამართლოების განწყობაზედ და მათ მთავრობაზედ (sic)“, შესავალს 14—5 მუხლი მისდევს; „უჭაზით ანუ ინსტრუქციით № 10 ზღაპრისა (sic) და ანუ მთავრობის (sic) მთავრობა ქალაქებსა შინა თუ რაგონ უნდა მოაქცეს ქალაქის მთავრობა (sic) და მისი რიგის მიტემაზედ“, მოკლე შესავალს 36 მუხლი მისდევს; „№ 11 სამძღვრის მთავრობის მთავრობაზედ და ანუ რაგონით უნდა მოაქცეს“, შესავალს 39 მუხლი მისდევს; ამით თავდება ხელნაწერი; სამწუხაროდ რაკი იგი უეღვაწე შეიძლება დანახენი მოკლეჯილი იყოს.

ამგვარევე თხზულება სხვა ხელნაწერშიაც მოიპოვება: სახელდობრ, სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის ხელნაწერშიაც (№ 102 Msc. Georg.) შენახულია „სამართალი ბატონის შვილის დავითისა“, ორ წილად; პირველი რომელიც 31 თავისაგან შესდგება „სრულ იქმნა ოკლამბრის. ე. (5) წელსა. ჩუ. (1800) სამეფოსსა ქალაქსა ტფილისს კელითა ანჩისხატის კანდელაკის მღუდლის გაბრიელისათა. თვითეული თავი მუხლებად არის დაყოფილი და სულ ერთობლივ მუხლების რიცხვი 245 უდრის; როდის არის მეორე ნაწილი დაწერილი არა სჩანს, მხოლოდ სხვა ქალაქდზეა (თეთრზე, პირველი ნაწილი ლურჯზე) და სხვა უფრო ლამაზი ხელით არის დაწერილი; არც წინასიტყვაობა, არც ბოლო სიტყვაობა ამ ნაწილს არა აქვს; აქა-იქ, განსაკუთრებით ბოლოში, თვით დავით ბატონიშვილის საკუთარის ხელით დაწერილი კანონები მოიპოვება. პირველ ნაწილს შემდეგი წინასიტყვაობა უძღვის: „შეწვენითა ღმრისათა ჩნ საქართველოს მემკვიდრე და რუსეთის სამხედროს ლენგრალ ლეიტენანტი და კავალერი მეფის ძე დავით წარმოვეუდგნეთ ერთა ჩქნთა გონებისა ჩემისა ჰსჯასა რლისაცა კარგიერება შემოიტანს შეკავშირებასა ერთასა. ვინადგან უწყიან ყთა თუ ვითარითავე სურვილითა უყოფიესთ წინაპართა ჩქნთა სჯულისათვის ერთა კარგიერებისადმი მოსაყუანათა. რლთაცა შრომაა არა არს უსარგებლოდ მაგრა ცულობებისა გამო სოფლისა და ანუ უვითარებლობსა მწირალთასა იხილვებოდა კელყოფილსა შა მათსა მტ და ნაკლ ყოფობაა. რლისა გამო იყო უთხზობაა. და დაუმორჩილებლობაა ჰსჯულთა მათ და განწყობათა. ამის გამო იძულებულმან ვჰყავ შრომაა და შევჰსთხზევ მრავალთა პირად პირადთაგან სჯულთა და განწყობათა. რლთაცა აქუნდა ყე მახლობელ დგომად ბუნებითისა ჰსჯულისა. რა ამით უჩვენო ერთა ჩემი ესე უმწვერვალესი სიყვარული და მოვიყვანო იგინი კარგიერებასა შა და მით უღელსა ქუცზე მორჩილებისასა. და რათა მსაჯულთაცა

მივსცე გზაა ქმნად სამართლისა და მიცემად ჰსჯისა: საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე რუსეთის, ლენგრალ ლეიტენანტი და კავალერი დავით“.

დავით ბატონიშვილის ორივე სასამართლო წიგნი ყურადღებისა და შესწავლის ღირსია: იგი ნათლად დაგვანახებს, თუ რა და რა საგნებს აკვირდებოდნენ მაშინდელი მმართველი წრეები, რომელი მხარე უფრო საჭირობოროტო საქმედ მიაჩნდათ და დაუყოვნებლივ საჭიროდა სთვლიდნენ ძირითადი ცვლილება მოეხდინათ, ან არა და რა ახალი დაწესებულება შემოეღოთ? ჩვენ ვიცით, თუ როგორ დაიწყო რუსის მთავრობამ საქართველოში მოქმედება და რას აკეთებდა პირველ ხანებში; მეტად საინტერესო იქნება ეს რუსის მთავრობის ნამოქმედარი იმას შევადაროთ, რაც უეჭველია განხორციელებული იქნებოდა, თუ რომ საქართველოს სამეფოს არსებობა ძალმომრეობით არ მოესპოთ. დასასრულ, ქართულ სამართლის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „ქართველ მეფეების დროინდელთ ჩვეულებებ“ს, რომელიც ჩაწერილი იყო 1810—15 წლებში; სამწუხაროდ ამ საბუთის ქართული დედანი ჯერ აღმოჩენილი არ არის და მხოლოდ მისი რუსული თარგმანია გამოქვეყნებული (იხ. ფრენკელის გამ. Собр. закон. рус. и. Восточа, დაბატება, გვ. 315—382).

ამ ჩვენს მიმოხილვაში მხოლოდ სახელმწიფო, საერო სამართლის ძეგლებზე გვქონდა ლაპარაკი და საეკლესიო კანონებს განგებ არ შევხებივართ; მაგრამ იქაც საკმაო ცნობები მოიპოვება, რომელთაც ქართულ სამოქალაქო სამართლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვსთ სამართლის ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები აგრედვე ქართულ მატანებში და საისტორიო თხზულებებში, განსაკუთრებით-კი წარწერებსა და სიგელ-გუჯრებში არის შენახული. სწორედ დაუფასებელი განძია ეს უკანასკნელი წყარო იმიტომ, რომ იგი მომქმედ სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელს საბუთს წარმოადგენს.

ამ მიმოხილვიდან მგონია ნათლად სჩანს, რომ ქართულ სამართლის ისტორიის შესასწავლად საკმაო მასალები მოიპოვება; საჭიროა მხოლოდ შესაფერისი ცოდნა და ამ უხვისა და ძვირფას წყაროების ბეჯითი და გულდასმითი გამოკვლევა.

ი. ჯავახიშვილი.

პეტერბურგს 1907 წელს 17 მ-ისა.

გამომცემელი შ. ამირეჯიბი.